სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№4 (253) აპრილი, 2012 წ. www.tsmu.edu

დიპლომისშემდგომი განათლების ალტერნატიული ფორმა
გვ. 2

სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა კლინიკური საბჭო
გვ. 2

ქართველი ქირურგის აღიარება
გვ. 2

არქიმანდრიტი ადამი – მედიცინისა და ღვთის მსახური
გვ.3

თვალის სნეულებათა დეპარტამენტის დღევანდელობა
გვ. 4

სტუდენტური გვერდი
გვ. 5-6

სახელოვანი იუბილარის ღვაწლის დაფასება
გვ. 6

„სამედიცინო გაზეთის„
რედაქცია:
ასათიანის ქ. №7;
ოთახი №600
ტ.: 254-24-64;
რედაქტორი
დალი გაბეშია
ტ: 599 76-25-98
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97
დამკაბადონებელი
ლია კიკილაშვილი
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

საადღვომო ეპისტოლეები

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ღვთის შეწევნით ეს უკვე მერამდენედ ვზეიმობთ უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლაც მაცხოვრის საფლავიდან კიდევ ერთხელ განუზომელი სიხარულით აღავსებს თითოეულ ჩვენგანს, ყველა მორწმუნეს.

დიდი სიყვარულით ვულოცავთ ქრისტეს აღდგომის დიდებულ დღესასწაულს ჩვენი გაზეთის მკითხველს, ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს და ტრადიციულად ვთავაზობთ ფრაგმენტებს უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლედან. ეპისტოლე საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ პატრიარქი ბევრ საინტერესო და აქტუალურ საკითხთან ერთად დიდ ადგილს უთმობს ჯანდაცვის სფეროს პრიორიტეტულობაზე, ექიმის პროფესიის არსსა და მნიშვნელობაზე საუბარს.

ქრისტე აღდგა!

მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გაგვათავისუფლა და კვლავ ნუღა დაიდგამთ მონობის უღელს (გალატ. 5.1)...

...დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობენ კაცნი და ანგელოსთა დასნი: „ჩვენც შევიდეთ სახლსა უფლისასა... და ყოველნივე ვიშვებდეთ სერითა მით სარწმუნოებისათა„ (წმ. იოანე ოქროპირი).

მაინც რა არის ჩვენი ასეთი სიხარულის მიზეზი, რატომაა პასექი დღესასწაულთა დღესასწაული?

მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული, უცვალებელი და უძრავი. დანარჩენი ყველაფერი ცოცხალი კი ვითარდება, მოძრაობს და დაუსრულებლად მიისწრაფვის მისკენ.

ადამის და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი... ყველასთვის დაიხშო სასუფევლის კარი.

უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ამ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა... და აღესრულა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლო – კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, – ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ თვითონ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები, დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიული ნეტარება მოენიჭებინა...

ამქვეყნად უფალი ჩვეულებრივი ადამიანივით მოქმედებდა, ამიტომაც სრულიად არავინ იცოდა, ვინ იყო იგი. ეშმაკი მხოლოდ წმინდანს და რჩეულს ხედავდა მასში; უდაბნოში გასულ იესოს მან გამოცდა მოუწყო და პირველი დამარცხებაც იწვნია.

მაცხოვარი შემდეგ უკვე თვითონ დევნის ეშმაკს, კურნავს შეპყრობილებს, დავრდომილებს და კეთროვნებს, თვალს უხელს ბრმებს, აღადგენს მკვდრებს... ბოროტი სული შეძრწუნებულია და გრძნობს, რომ ადვილად ვერ მოერევა მას, ამიტომაც მისი ნებისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებულ და გაუკეთურებულ ადამიანებს იყენებს მიზნის განსახორციელებლად... და აი, იუდა... სინედრიონი... პილატეს სამსჯავრო... ჯვარცმა და ძეკაცისას ადამიანური ტკივილით სავსე ამონათქვამი: „უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევე მე?„

თითქოს აღსრულდა ფარისეველთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, მოკვდა იესო; მისი სული და სხეული ერთმანეთს განეშორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა – ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემოქმედი! ეშმაკი ჰგონებდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს, მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, დათრგუნა სიკვდილი და იქ მყოფნი მართალთა სული ცათა სასუფეველში აიყვანა.

ქრისტემ „ძლევაი საკვირველი“ მოიმოქმედა, ეშმაკს ყოვლითურთ სძლია და ადამიანს მიანიჭა სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ იგი ყველამ პიროვნულად უნდა მოიპოვოს...

...მკვდრეთით აღდგომილი უფალი სულიწმიდის გარდამოსვლისას აფუძნებს წმიდა ეკლესიას – თავის მისტიკურ სხეულს, რომლის ერთი ნაწილი ცხონებაში მყოფ მართალთა სულებისგან შედგება და მას მოზეიმე ეკლესია ჰქვია, ხოლო მეორე ნაწილი ამქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანთა კრებულს წარმოადგენს და მებრძოლი ეკლესია ეწოდება, რადგან თითოეულმა მისმა წევრმა ცოდვასთან ბრძოლით უნდა მოიპოვოს გადარჩენა და მარადიული სიცოცხლე...

...თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისთვის, რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და, ასევე, საზოგადოების დამახინჯებას...

...ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლოვანების მიუხედავად, ყოვლად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულოთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ...

...მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა, ახლგაზრდების დიდმა ნაწილმა და ჩვენმა ხალხმა გაუძლო საცდურს და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა...

...ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჯანდაცვის სფერო.

ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა, ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც, პირველ რიგში, ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და, საბოლოოდ, მთელი საზოგადოება, ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მისი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა.

ავადმყოფის მკურნალობა ასევეა დამოკიდებული ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე, ვინაიდან უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად ექცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს.

ფრიად სასურველია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს ჩვილობის ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისთვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა.

დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც, ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება...

...პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულება და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა.

ხშირად უთქვამთ: ხომ შეეძლო უფალს, ადამიანები სიკეთისკენ ისე მიემართა, რომ ცოდვით არ დაცემულიყვნენ და ამდენი განსაცდელიც არ გადაეტანათ?

ღმერთი სულია, – წერს პავლე მოციქული, – და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა (II კორ. 3, 17).

ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სიწმინდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის. თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას, რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა, ანუ მადლისმიერი განღმრთობა.

რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი მორწმუნეთ უმზადებს?!.

...თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთისმადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკულმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ დაექვემდაბარება ცოდვას.

ჭეშმარიტი რწმენის მოპოვებისთვის კი აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში ჩაღრმავება, სულის, გულის და გონების განწმედა, წმინდა წერილის და საღვთისმეტყველო ლიტერატურის კითხვა და დახმარებისთვის უფლის წინაშე ლოცვა...

...ადამიანი, ვინც გულწრფელად ეძიებს სამყაროსა და თავისი არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს ჭეშმარიტების შეცნობა, ადრე თუ გვიან მაინც იპოვის უფალს და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათლით და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრების სასოებით; რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი – სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული. უფალი ბრძანებს: მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული (გამოცხ. 1.8); მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვისაც ჰსწამს ჩემი, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს (ინ. 11. 28)!..

...ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისთვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II,

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 2012 წელი

კანონპროექტი დიპლომისშემდგომი მზადების ხელშესაწყობად

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის კანონპროექტმა, რომელიც ეხება სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დიპლომისშემდგომ მზადებას, ჩვენს მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ თხოვნით მიმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ **მიხეილ დოლიძეს**, რათა მრავალრიცხოვან დაინტერესებულ პირთათვის განემარტა აღნიშნული კანონპროექტის არსი და დანიშნულება. ბატონმა მიხეილმა ჩვენი თხოვნა ოპერატიულად დააკმაყოფილა და მოგვაწოდა ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ, ბატონ მიხეილს კი ვუსდით დიდ მადლობას.

მიხეილ დოლიძე,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე:

მოგახსენებთ, რომ კანონპროექტი დამტკიცებულია და მიზნად ისახავს განახლებული ჰოსპიტალური სექტორის სრული დატვირთვით ამოქმედებამდე დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ხელმისაწვდომობის გაზრდას, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად უმცროსი ექიმისთვის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლების მინიჭება განიხილება როგორც დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ალტერნატიული ფორმა (ანუ რეზიდენტურის ალტერნატიული ფორმა), როცა პირი (რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა და მოპოვებული აქვს საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა) მუშაობს უმცროს ექიმად რეზიდენტურის კურსის ხანგრძლივობის განმავლობაში და მის მიერ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ამ საექიმო სპეციალობაში რეზიდენტურის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხსენებულიდან გამომდინარე, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა საექიმო სპეციალობის მაძიებელს აძლევს შესაძლებლობას, თავად დაგეგმოს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ეტაპი – გაიაროს სარეზიდენტო პროგრამა ან გახდეს უმცროსი ექიმი და ამ გზით მონაწილეობა მიიღოს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ალტერნატიულ ფორმაში.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის პრიორიტეტულია კვალიფიციური ადამიანური რესურსის წარმოება. შესაბამისად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის (2011-2015 წ.წ.) სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი და ჯანდაცვის ადამიანური რესურსის განვითარების გეგმა (2012-2015 წ.წ.) ითვალისწინებს სამედიცინო განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებებს, მათ შორის, შეფასების ინსტრუმენტის (სასერტიფიკაციო გამოცდის) გაუმჯობესებას, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს საქართველოს ჯანდაცვის ბაზარზე მხოლოდ კვალიფიციური კადრის მოხვედრას.

კონფერენციები

კიევ-მოჰილას აკადემიაში

2012 წლის 12-13 აპრილს კიევში (უკრაინა), კიევ-მოჰილას ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა კონფერენცია ,,ჯანდაცვის ეკონომიკა, სოციოლოგია, თეორია და პრაქტიკა“. ეს რიგით მეორე სამეცნიერო ფორუმი იყო TEMPUS–ის პროექტის „სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარება საქართველოსა და უკრაინაში“ ფარგლებში, რომლის აქტიური მონაწილე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ ამ პროგრამის ფარგლებში. ამჯერად კონფერენციის მუშაობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი **ეკა ეკალაძე** და დოქტორანტები **ივანე კუგოტი** და **დავით რამინაშვილი**. ისინი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით აწარმოებენ კვლევას და სწორედ საკუთარი კვლევის შედეგები წარადგინეს ამ საერთაშორისო ფორუმზე. მათმა მოხსენებებმა მსმენელის ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. დაისვა საქმიანი შეკითხვები და გამოიხატა ერთობლივი კვლევების დაგეგმვის სურვილი. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რამეთუ კონფერენციის ორგანიზატორები და მონაწილეთა დიდი ნაწილი სერიოზულ რენომეს ფლობს ჯანდაცვის სოციოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

დაიგეგმა სამომავლო აქტივობები სადოქტორო პროგრამების კურიკულუმის განვითარების, დოქტორანტურაში სწავლებისა და კვლევის ეფექტური ინტეგრაციის მექანიზმების შერჩევისა და განხორციელების პერსპექტივით. უახლოეს მომავალში კონფერენციის მასალები, მათ შორის - ქართველ დოქტორანტთა კვლევის შედეგები, გამოქვეყნდება უკრაინაში გამოცემულ საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში.

ეკა ეკალაძე,
თსსუ-ის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი სპეციალისტი

ქართველი ქირურგის წარმატება

კონგრესის საპატიო პრეზიდენტთან, პროფ. **ჯან-ლუიჯი მელოტისთან** და კონგრესის თავმჯდომარესთან, **აბდულ ალ-ზაჰრანთან** ერთად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის პირველი დეპარტამენტის თორაკოაბდომინური ქირურგიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა, **მერაბ კილაძემ,** მონაწილეობა მიიღო ევროპის, ხმელთაშუა ზღვის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ქირურგ-ენდოსკოპისტთა ასოციაციის მეშვიდე საგაზაფხულო კონგრესის მუშაობაში, რომელიც 2012 წლის 26-28 მარტს ჩატარდა საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ-რიადში.

კონგრესზე წამყვან ქირურგთა და ენდოსკოპისტთა მიერ წარმოდგენილი იყო აქტუალური, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან.

საამაყოა, რომ ქირურგთათვის ასეთ ავტორიტეტულ ფორუმზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა – **მერაბ კილაძემ** უდიდესი წარმატება მოიპოვა – მისმა ნაშრომმა **„ლაპაროსკოპიული საშუალებების გამოყენება მწვავე აბდომინურ ქირურგიაში“ პირველი ხარისხის პრემია დაიმსახურა ნომინაციაში – „ღირებული მოხსენებისთვის“.** ეს ფაქტი აღინიშნა სახელობითი ჯილდოთი და ფულადი პრემიით 1500 ევროს ოდენობით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, ქართულმა ქირურგიულმა და ენდოსკოპიურმა სკოლამ მორიგი გამარჯვება იზეიმა!

ვულოცავთ ბატონ მერაბ კილაძეს კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას!

ხიხვი

შეიქმნა სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური საბჭო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახლახან შექმნილი კლინიკური საბჭო ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კლინიკური სექტორის განვითარებას, აკადემიური პერსონალის კლინიკურ აქტივობას, პარტნიორ კლინიკებთან ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, სამედიცინო მომსახურების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობას, უნივერსიტეტის ჩართულობას პრაქტიკული მედიცინის განვითარებაში, დაავადებათა პრევენციას და პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებას, დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი განათლების ხარისხის ამაღლებას.

კლინიკური საბჭოს გადაწყვეტილება, როგორც წესი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის და უნივერსიტეტის კლინიკებისთვის სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. საჭიროების შემთხვევაში კლინიკური საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილება დამტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური ან წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ.

საბჭო მიზნად ისახავს უნივერსიტეტის კლინიკური დეპარტამენტების და მიმართულებების აკადემიური პერსონალის კლინიკური აქტივობის ამაღლების და, პრაქტიკული ჯანდაცვის მოთხოვნების შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას, ხარისხის შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფას, ასევე, უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკების არეალის გაფართოებას, უნივერსიტეტსა და პარტნიორ კლინიკებს შორის ხელშეკრულების და მემორანდუმის გაფორმების წესის დახვეწას,

უნივერსიტეტის კლინიკების განვითარების და ინფრასტრუქტურის განმტკიცების ხელშეწყობას, კლინიკური დეპარტამენტების და მიმართულებების კლინიკური საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის ანალიზს, განხილვას, რეკომენდაციების მომზადებას და ა.შ.

კლინიკური საბჭოს მიზანს, ასევე, შეადგენს:

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებისთვის სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა მათი პროფესიული ორიენტაციის გათვალისწინებით; სტუდენტთა კლინიკური სტაჟირების ორგანიზება, სტაჟირების ხარისხის შეფასება და განვითარება; საზაფხულო სკოლა-სტაჟირების ბაზების გაფართოება,

უნივერსიტეტის და პარტნიორ კლინიკებს შორის კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზების განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; კლინიკურ საბჭოს წევრთა მონაწილეობა საექსპერტო გადაწყვეტილებების მიღებისას და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ადვოკაციის საკითხებში; პრაქტიკული მედიცინის შემდგომი განვითარების მიზნით, მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან, სამედიცინო ასოციაციებთან, ფარმაცევტულ და სადაზღვევო კომპანიებთან; უნივერსიტეტის კლინიკებში დაავადებათა მართვის დამტკიცებული გაიდლაინების და პროტოკოლების დანერგვის ხელშეწყობა; ასევე, ქვეყნის და უცხოური კლინიკების მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაცნობა და დანერგვა;

უნივერსიტეტის კლინიკებში მომუშავე აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შემუშავება და დამტკიცება.

კლინიკური საბჭოს თავმჯდომარე არის უნივერსიტეტის რექტორი. კლინიკური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს კლინიკური საბჭოს თავმჯდომარე. კლინიკური საბჭოს მდივანი მტკიცდება კლინიკური საბჭოს მიერ.

კლინიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან კლინიკური დეპარტამენტების და მიმართულებების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკების ხელმძღვანელები, პროფესიული ასოციაციის წევრები, ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტები.

წიგნიერი შუენის ქებით...

„უბრალო ხელითა და წმინდა გულითა...“

ერობაში – **ვახტანგ ახალაძე,** სასულიერო იერარქიაში – **არქიმანდრიტი ადამი...**

ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რამდენიმე წლის წინ სამედიცინო უნივერსიტეტში საეკლესიო სამოსელით რომ ვიხილეთ...

მას სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხვის დღიდან ვიცნობდით, რადგან პირველივე კურსიდან გამოავლინა განსაკუთრებული გამორჩეულობა როგორც სწავლაში, ისე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში;

იყო ჩვენი გაზეთის სტუდენტი-კორესპონდენტი, წლების მანძილზე სიამოვნებას გვანიჭებდა ფილოსოფიურად ნააზრევი მისი საგაზეთო წერილები. მასზე ბევრს ვსაუბრობდით რედაქციაში, მომავლის დიდ მეცნიერად მივიჩნევდით... არც შევმცდარვართ, ამიტომაც გაგვაოცა ანაფორაში მისმა ხილვამ, თუმც, როგორც თვითონ გვითხრა, მიუხედავად იმისა, რომ წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ, მაშინ ჯერ კიდევ არ ფიქრობდა საეკლესიო ცხოვრებას შესდგომოდა...

არქიმანდრიტ ადამთან შეხვედრის და საუბრის ინტერესი ყველაზე მეტად მისმა ამ ამპლუაში ყოფნამ გაგვიძლიერა... ეს დღეც დადგა... შინ ვეწვიეთ... მეგზურობა ჩვენმა და ჩვენი გაზეთის მეგობარმა, ბატონმა **გია სულაბერიძემ** გაგვიწია...

უდიდესი მადლი ვიგრძენით, როცა მასპინძელმა სითბოთი და სიხარულით მიგვიღო... კანდელი და სანთელი ანათებდა ხატებით სავსე ოთახს, კარშეღებული ოთახიდან კი ჭერამდე აზიდული წიგნებით სავსე კარადები ჩანდა – აურაცხელი ლიტერატურა მედიცინაზე, ფილოსოფიაზე, სასულიერო ცხოვრებაზე... მრავლისმთქმელი აღმოჩნდა ეს გარემო ჩვენთვის, მასპინძლის დიდ ინტელექტზე რომ ღაღადებდა, რაც გამოჩნდა კიდეც მისი საუბრის დახვეწილი მანერიდან, ღრმა განსწავლულობასა და, ამასთან, კეთილი და თავშეკავებული იუმორის ნიჭზეც რომ მეტყველებდა...

საუბარი ოლიმპიური სიმშვიდით დაიწყო, თანდათან გამოიკვეთა მოსაუბრის უზადო ღვთისმოსაობა, წიგნიერება, სიბრძნე და ღვთიური მადლი...

ჩვენი დაინტერესება მის განვლილ გზას შეეხო. რიდი დაეტყო სახეზე... თუმცა მაინც შევიტყვეთ:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში. აქვე დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„პირიტრამიდი, როგორც ზოგადი ანესთეზიის ანალგეტიკური კომპონენტი, ოპერაციების დროს გულის თანდაყოლილი მანკებით დაავადებულებში“.**

მოგვიანებით, სამშობლოში დაბრუნებისას, მუშაობა განაგრძო აკადემიკოს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის გულის ქირურგიის კლინიკაში; მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოში ექიმად და იყო აქ არსებული საქველმოქმედო საბჭოს წევრი; ხელმძღვანელობდა საპატრიარქოსთან არსებულ სატელევიზიო შემოქმედებით ჯგუფს და შექმნა რამდენიმე ათეული სატელევიზიო გადაცემა. შემდეგ იყო ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის პროფესორი.

მამა ადამის ბიოგრაფიაში საინტერესოა არასამთავრობო ორგანიზაცია – ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრის ჩამოყალიბება, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა მოწყალების დების სასწავლებელს და რომლის ბაზაზეც 2006 წელს თბილისის სასულიერო აკადემიასთან დაარსდა თამარ მეფის სახელობის მოწყალების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი.

2003 წლიდან მშობლიური – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – სადისერტაციო საბჭოს წევრი და ქართული სამედიცინო ენციკლოპედიის სამეცნიერო-საკონტროლო რედაქციის გამგეა.

2006 წლის სექტემბერში უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, ბრძანებით, დაინიშნა სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ და წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის გენერალურ დირექტორად. ამავე წელს აირჩიეს საქართველოს პრეზიდენციული მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. იგი, ასევე, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია;

2004 წელი... 4 აპრილი... თაბორის მთის ფერისცვალების მამათა მონასტერში ბერ-მონაზვნად აღიკვეცა და ამავე წლის 19 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ლავრის საკათედრო ტაძარში უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად.

2005 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, უწმინდესმა და უნეტარესმა მამა ადამი იღუმენის, ხოლო 2008 წლის 21 დეკემბერს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა.

2009 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი და თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარია.

ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი მხატვრული და პუბლიცისტური სტატია. მისი მეცნიერული კვლევის სფეროს წარმოადგენს მედიცინის თეორია, ფილოსოფია და ისტორია, ბიოეთიკა, სოციალური და პრევენციული მედიცინა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო ფსიქოლოგია, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება, სამედიცინო განათლების პედაგოგიკა.

მედიცინა და რელიგია სისხლხორცეულად შეერწყა მამა ადამის პიროვნებას და ცნობიერებას. დიდი მადლი გამოჰყოლია მშობლიური სამედიცინო ინსტიტუტიდან, მადლი იმ ადამიანებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი გაავლეს მის სულიერ და პროფესიულ ცხოვრებაში. დიდი სიყვარულით იხსენებს პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც ეუბნებოდნენ: – არაფერს ნიშნავს გქონდეს მხოლოდ ექიმის დიპლომი, ყოველმხრივ განათლებული ადამიანი უნდა იყო... ურჩევდნენ, რა წაეკითხა, ხელს უწყობდნენ ღრმა და მრავალმხრივი აზროვნების განვითარებაში... კმაყოფილია იმის გამო, რომ ასწავლიდნენ ფილოსოფიას, მედიცინის ისტორიას; პატივისცემით და განცდით ჰყვება ქალბატონ **თამარ დეკანოსიძეზე**, – **„სამედიცინო საზოგადოების ეტალონს“ უწოდებს მას, ვისშიაც „საქართველოს სიყვარული, თავმდაბლობა, უვეცხლობა, მოყვასისთვის თავდადება, უკიდეგანო განათლება, ხელოვნების თაყვანისმცემლობა და ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი ორგანულად იყო შერწყმული“.** განსაკუთრებულად საუბრობს შესანიშნავ ქირურგსა და პიროვნებაზე – ქალბატონ **როდამ ქუმსიაშვილზე**: – **„იშვიათად მინახავს ასეთი კლინიცისტი, მდიდარი გამოცდილება და ერუდიცია საშუალებას აძლევდა, უტყუარი დიაგნოზი დაესვა; მაღალინტელექტუალური, ინტეგრაციული კლინიკური აზროვნების უნარი და სატკივრის მიგნების შეუდარებელი ალღო რჩეულთა შორის აკუთვნებდა ადგილს ქალბატონ როდამს; ლამაზად იმორჩილებდა ქართულ სიტყვას კალმითაც და ენითაც... მისი რამდენი ჩინებული ქართულით ნაამბობი შემორჩა ჩემს მეხსიერებას; მადლობელი ვარ, რომ ბედმა მარგუნა ამ დიდებულ მანდილოსანთან, ჩვენი საზოგადოების დედაბოძთან, მეგობრობა“.**

სინანულით საუბრობს პროფესორ **დავით გეგეშიძეზე** – **„ხშირად მეუფლება უდავითობის სევდა**, – გვეუბნება იგი, – **თითქმის შვიდი ათეული წელი თავჩაღუნული მუშაობდა მისი გონება, „მოსავალიც უხვი მოჰყავდა“ – სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დისერტაციები, ლექციები, საჯარო გამოსვლები, ზეპირი დარიგებები, რითაც ასაზრდოებდა ყველას; გამორჩეულ ქართველთა საუფლოს ბინადარი გახდა კიდევ ერთი ნათელი კაცი... უდავითობა ერთი დიდი სევდაა დროსა და სივრცეში გაჭიმული და ეს სევდა უმაღლეს ღირებულებათა მწვერვალებიდან იღებს სადავეს. მადლობა ყველას, ვინც ამ საოცარი ქართველის, მასწავლებლის, ფილოსოფოსის, მოაზროვნის, მამულიშვილის ხსოვნა სანთლებად აანთო“.**

მადლიერმა მოწაფემ ძვირფას პიროვნებებს, მასწავლებლებსა და მოძღვრებს სპეციალური წერილები უძღვნა 2010 წელს გამოცემულ თავის უნიკალურ წიგნში – **„საეკლესიო სამედიცინო კალენდარი„**.

ამ შესანიშნავი წიგნის ერთ-ერთი თავში –**„ექიმობა ჩემი პროფესიაა“** – ავტორი გვესაუბრება ფსალმუნის ციტატით – **„უფალს უკვე ჩაეჭიდებინა ჩემთვის ხელი და მივყავდი ამ დიდებული ტაძრის ლავრისკენ“** ... და შეკითხვაც ჩვენს საპატიო რესპოდენტს ასე დავუსვით: – **მამაო ადამ, როდის ჩაგჭიდათ უფალმა ხელი და წაგიყვანათ დიდებული ტაძრისკენ?**

– „მედიცინა ცხოვრების ენციკლოპედიაა. ექიმს აქვს რეალური შესაძლებლობა, საკუთარი თვალით ნახოს, გაიგოს და იგრძნოს თუ როგორ ხდება ადამიანის დაბადება. ახლა კი ექიმს შეუძლია დაბადებამდელ ცხოვრებასაც დააკვირდეს, შეუძლია იმის აღქმაც, რა სტკივა ადამიანს, როგორ ხდება მისი გარდაცვალება და ა.შ. ამას ყველაფერს ითავისებს, აანალიზებს და აკვირდება ექიმი, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს პროფესიას, არამედ იმას, თუ როგორ იცნობ ადამიანის მსოფლმხედველობას, მის შინაგან წყობას, სულის მდგომარეობას. სტუდენტობისას დაინტერესებული ვიყავი იმ პიროვნებათა ცხოვრებით, რომლებმაც, განათლებითა და პროფესიით ექიმებმა, მედიცინას თავი დაანებეს და მეორე პროფესია აირჩიეს ან ორივეს ემსახურებოდნენ, მაგრამ სასულიერო პირად გახდომაზე არ ვფიქრობდი; არ ვიცი, რატომ მაინტერესებდა მაშინ ეს ყველაფერი (ცხადია, უფალი აწყობს ყველაფერს)„... და იგონებს **დანტე ალიგიერსა** და **ფრანსუა რაბლეს, სალვადორ ალიენდეს** და **ჩე გევარას, კობო აბესა** და **დევიდ ლინგვისტონს,** დიდ

ჩეხოვს, არჩიბალდ კრონინს, ალექსანდრე ბოროდინს, თანამედროვეთაგან **მამა სამსონს – ყოფილ გრაფ სივერსს,** საყოველთაოდ ცნობილ წმინდა მღვდელმთავარს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ქირურგ **ლუკა ვოინო-იასენეცკის.** მიაჩნია, რომ ექიმი მორწმუნე უნდა იყოს, რადგან ხშირად უხდება საკუთარი უმწეობის აღიარება და ამ შემთხვევაში დახმარებისთვის უფლისადმი თხოვნა. ასე, მის თვალწინ, კლინიკებში, არაერთი სასწაული აღსრულებულა ორი ათეული წლის მანძილზე. კლინიკაში იგი თავად იყო მომსწრე იმისა, თუ როგორ ლოცულობდნენ ოპერაციის დაწყების წინ პოლონელი, ამერიკელი, შვეიცარელი ქირურგები, ყველაფერი წარმატებით რომ დამთავრებულიყო... მისი აზრით, ექიმის ნებისმიერი გადაწყვეტილება გულიდან უნდა მოდიოდეს, რისი საფუძველიც სულიერება და ზნეობრიობაა.

არქიმანდრიტი ადამი ახალი მისული იყო ეკლესიაში, როცა აზრი გაუჩნდა, ემუშავა ისეთ საკითხებზე, რაც ნათელს მოჰფენდა ქრისტიანობისა და ბიომედიცინის ურთიერთმიმართების პრობლემებს. ამისთვის იგი გამუდმებით კითხულობდა და ათასგვარ ლიტერატურას აგროვებდა, ცდილობდა მეტაფიზიკური, მეტამეცნიერული მისტიკურ-საკრალური კუთხით დაენახა სამედიცინო პრობლემები. ყოველივე ამის შემდეგ კი დაიწყო მათი მთლიანობაში გააზრება და შედეგად – გაჩნდა სადოქტორო დისერტაცია ბიოეთიკაში – ბრწყინვალე ნაშრომი მედიცინის სულიერ და ზნეობრივ პრობლემებზე.

... ბრძენმეტყველურად საუბრობდა... ვიყავით სმენადქცეულნი... 143-ე ფსალმუნიდან გაგვახსენდა: **„კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რომელმან ასწავა ხელთა ჩემთა ღუაწლი და თითთა ჩემთა – ბრძოლაი„**. სწორედ რომ ღვთისგან ბოძებულია მისთვის ასეთი მისაბაძი ღვაწლი და ბრძოლა უფლის სადიდებლად თუ მედიცინისთვის.

მამა ადამის მიმართ სათქმელს მეფე დავითის ფსალმუნის ლოცვიდან ფრაგმენტით დავასრულებთ: **„გაძლიერდი და იყავი სრული, დაიცავი ცნებანი შენნი**

უფალი ღვთისა ყველა მის გზაზე სავალად...“

დალი გაბეშია,
დარეჯან კომლაძე

P.S. გვსურს მკითხველს გავაცნოთ მამა ადამის გულმხურვალე მადლის გამოხატულება წერილში – **„სამადლობელი მათქმევინეთ“** – იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც მას ლოცვის სიტყვები, კეთილი სურვილები, ანთებული სანთლები, გაზაფხულის ყვავილები უძღვნეს... ასევე, საღდგომო მოლოცვა მშობლიური უნივერსიტეტისადმი:

მაღალი ღმერთი და ღვთივსათნო მოყვასი არის წყარო ჩვენი კეთილდღეობისა, სიხარულისა, ბედნიერებისა. ეს განცდა და მადლიერების გრძნობა გვანერინებს ამ წერილს...

„რამდენი რამ გვაქვს სათქმელი. მინდა ხმა მოგაწვდინოთ, ხმა ჩემი ცხოვრების შუადღიდან“, – ამ სიტყვებით დაიწყო რუსთაველის თეატრში ჩვენი პერფომანსი - ***„ბგერები“.***

ეს გახლდათ ჩემი მცდელობა ხმამაღლა მეთქვა რაიმე თქვენთვის – ყველასთვის, ოღონდაც ამგვარი და არა სხვა ფორმით: ლიტერატურული ტექსტებით, მუსიკალური ბგერებით, თეატრალური სცენით, გენიალური მუსიკოსებით, რეჟისორით, მხატვრით...

ამ საღამამდე სამიოდე დღით ადრე 50 წლის გავხდი. ეს სამადლობელიც ამ ფაქტს უკავშირდება. იმდენი ადამიანი შემომეხმიანა, მომილოცა და დამლოცა, რომ თითოეულისთვის ცალ-ცალკე მადლობის თქმა ვერ მოვახერხე და ახლა ვამბობ ამას...

უპირველესი მადლობა ჩვენი ერის და თითოეული ჩვენგანის სულიერ მამას – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს!

მადლობა დიდსა მეუფესა ყოველთა ქართველთა ლოცვისთვის და იმისთვისაც, რომ მოულოდნელ სიხარულად კვლავ დიდი ნდობა გამომიცხადა და ორი „გამშვენებული ჯვრის„ ტარების უფლებით დამაჯილდოვა.

მადლობა ჩემს ალმა მატერს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, მის რექტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას და მთელ აკადემიურ საბჭოს, დიდი პატივით და სიყვარულით რომ გამახარეს და ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მომანიჭეს.

მადლობა თქვენ, თითოეული ლოცვის სიტყვისთვის, კეთილი სურვილისთვის, ანთებული სანთლისთვის, გაზაფხულის ყვავილისთვის!..

ეს მოლოცვები დღემდე გრძელდება.

მიხარია, რომ თქვენ და მე სიყვარული შეგვიძლია, კიდევ შურის და ბოროტების დამარცხება შეგვიძლია, მოყვასის სიხარულით გახარება და გალაღება შეგვიძლია და უფრო მეტი სიყვარული გვსურდეს – ესეც შეგვიძლია!

დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისთვის!

... და მთავარი სათქმელი:

ო, საქართველო დამილოცე, ზეცავ და მამავ!

საღდგომო მოლოცვა მშობლიურ უნივერსიტეტს

ქრისტე აღდგა! ამ სიტყვებით მონიჭებული სიხარული, შეუძლებელია, რომ არ იგრძნოს ადამიანის სულმა, რადგან იგი ბუნებითაა ქრისტიანი; მით უმეტეს, თუ შენ ყველაზე ქრისტიანული პროფესიის წარმომადგენელი ხარ.

ამიტომაც ჩვენთვის, ვინც უკვე იღვწის და იმათთვისაც, ვინც მომავალში აპირებს მედიცინისა და ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობას, ყველაფერი, რაც ქრისტეს უკავშირდება – განსაკუთრებულად ძვირფასი უნდა იყოს და ამაღლებული.

მიღწევები მედიცინაში, წარმატებანი ავადმყოფის სამსახურში, ტექნოლოგიური წინსვლა კეთილი გონისა – ამ ყველაფრისათვის ჩვენ მადლობას უნდა ვწირავდეთ უფალს...

და აი, აღდგა ქრისტე, ე. ი. აღდგება სიყვარული და რწმენა ჩვენში!

აღდგა ქრისტე, ე. ი. გაძლიერდება ეკლესია და ქვეყანა ქართველთა!

აღდგა ქრისტე, მაშ, დამარცხდა სიკვდილი!

მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე ღმერთი გეწეოდეთ და გიფარავდეთ ყოველივე ბოროტისაგან!

აღდგომის ღვთაებრივი დღესასწაულის მადლი თანაგდევდეთ მუდამ!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

თვალის სნეულებათა დეპარტამენტში...

ცოდნის შეფასებისა და გაღრმავებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტში სტუმრობისას და დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, რეზიდენტურის პროგრამ-დირექტორთან, პროფესორ მერაბ დვალთან, ჩვენი საუბრისას გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი თემის – სტუდენტებთან და რეზიდენტებთან მუშაობის ის ძირითადი საკითხები, რაც დეპარტამენტის საქმიანობის განსხვავებულ ხელწერაზე, მიზანმიმართულებასა და გარკვეულ წარმატებებზე მიგვანიშნებს.

– ოფთალმოლოგიის რეზიდენტურაში მზადებას, უწყვეტი და წყვეტილი სწავლების მიხედვით, გადის 35 მაძიებელი რეზიდენტურის 4-წლიანი პროგრამის გათვალისწინებით; მათ საშუალება აქვთ მოდულების მიხედვით ეს საგანი თბილისის წამყვან თვალის კლინიკებში თსსუ-ის **თვალის სნეულებათა დეპარტამენტი, კლინიკა –„ ახალი მზერა“, კლინიკა – „მზერა“, კლინიკა – „ოფთალმიჯი“, კლინიკა – „კარაპს-მედლაინი“, ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა, კლინიკა – „ავერსი“ – შეისწავლონ.**

რეზიდენტურის პირველი კურსიდანვე, სპეციალობის მაძიებლები, თეორიულ ცოდნასთან ერთად, ეუფლებიან კლინიკური მუშაობის პრინციპებს, პაციენტის გასინჯვას, გამოკვლევის მეთოდების სრულფასოვნად ჩატარებას, სწავლობენ პირველად გადაუდებელ დახმარებას, ესწრებიან როგორც გეგმურ, ასევე ურგენტულ ოპერაციებს. მოდულის განხორციელების პერიოდში მაძიებლები თარგმნიან უცხოენოვან სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებს და გაიდლაინებს. ცოდნის შეფასების და გაღრმავებისთვის, თემატიკიდან გამომდინარე, მათ ევალებათ შესაბამისი პრეზენტაციის წარმოდგენა ლოკალური ხელმძღვანელის დახმარებით. ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ ტარდება რეზიდენტების და პედაგოგების შეკრება კონფერენციის სახით.

მაძიებლები აქტიურად მონაწილეობენ საქველმოქმედო აქციებში. **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო** ახალგაზრდებმა მადლობის წერილი დაიმსახურეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და სტუდენტური თვითმმართველობისგან.

კლინიკა – **„ახალი მზერა“-ს** მიერ ორგანიზებული აქცია, ჩატარდა თბილისის №51 და №55 საჯარო სკოლებში და გასინჯულ იქნა 7000-მდე მოსწავლე.

თვალის სნეულებათა დეპარტამენტში ჩატარებულ საქველმოქმედო აქციებში, მაძიებლებთან ერთად, მონაწილეობენ სტუდენტებიც. ჩატარდა **საშობაო-საახალწლო აქცია – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შრომისა და ომის ვეტერანთა უფასო საქველმოქმედო გასინჯვა, ლიახვის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის საქველმოქმედო გასინჯვა.**

თბილისის „ლაიონ“-ს და **„ლეო“** კლუბების და ფარმაკოლოგიური კომპანია – „World Medicine“-ის მიერ პაციენტებს საჩუქრად გადაეცათ სათვალეები და მედიკამენტები.

ამგვარი ღონისძიებების მეშვეობით რეზიდენტები და სტუდენტები, კეთილ საქმესთან ერთად, სწავლობენ დამოუკიდებლად მუშაობას. მათ აქვთ საშუალება გაცვლითი პროგრამით გაიარონ პრაქტიკები სხვადასხვა ქვეყნის წამყვან კლინიკებში და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში, რომელშიც მათ ხელს უწყობს თსსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი. 2011 წელს მე-3 კურსის სწავლების რეზიდენტებმა **მ. მაკალათიამ და ნ. რევიშვილმა** ხუთი თვის განმავლობაში თურქეთში, ქ. ერზერუმის ათათურქის სახელობის უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება მიიღეს. თსსუ-ს რეზიდენტებს სადღეისოდ საშუალება აქვთ, ევროპის ოფთალმოლოგთა კავშირის ხელშეწყობით, სხვადასხვა სახის გრანტის მეშვეობით, გაემგზავრონ საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში და გაიღრმავონ ცოდნა მათთვის სასურველი მიმართულებით.

უნივერსიტეტისა და კომპანია „ბორჯომის“ ერთობლივი პროექტი – „უფასო სამედიცინო გამოკვლევები“, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა; გამოკვლეულ იქნა 6000-ზე მეტი ადამიანი; აქცია საყოველთაო ხასიათის გახდა და პაციენტთა სამადლობელი სიტყვების გარდა, თვალის სნეულებათა დეპარტამენტში მუშაობს რეზიდენტთა და სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელშიც ეს ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი; 2011 წლის მაისში **ქ. სამსუნში** (თურქეთი) ჩატარებულ მედიკოს სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესზე მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს, **ა. ვაჩიბერიძეს,** პროფესორ **მერაბ დვალის** ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი ჰქონდა პრეზენტაცია – **„კერატოპლასტიკის ალტერნატიული მეთოდები კერატოკონუსის დროს“.**

თვალის სნეულებათა დეპარტამენტი, ისევე როგორც თსსუ-ის სხვა კლინიკური დეპარტამენტები, აქტიურად მუშაობს სარეზიდენტო პროგრამის განახლების და პროფესიული სწავლების ევროპულ დონესთან მიახლოების თვალსაზრისით. მყარი თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები რეზიდენტურის კურსდამთავრებულს საფუძველს უქმნის კვალიფიციურ და პროფესიონალ ექიმად ჩამოყალიბებისთვის. თეორიული ცოდნის გაღრმავებისთვის რეზიდენტურის პროგრამაში, ახალი ლიტერატურის დამატების სახით, პერიოდულად შედის ცვლილებები, შეფასების სისტემიდან გამომდინარე, იცვლება ტესტ-კითხვარები და ა.შ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტების განმახორციელებელი ცენტრის მოთხოვნით, განახლდა და შემუშავდა დიპლომისშემდგომი განათლების _ სახელმწიფო სასერტიფიკაციო ტესტ-კითხვარები და თვით პროგრამაც, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, **ეთერ მშვიდობაძეს**, რისთვისაც მას, დეპარტამენტის სახელით, დიდ მადლობას ვუხდით.

ბევრი საინტერესო პროექტი და გეგმა გვაქვს სამომავლოდ, იმედია, შევძლებთ მათ განხორციელებას.

რეზიდენტთა კონფერენციები

როგორც აღინიშნა, თსსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტში რეგულარულად ტარდება რეზიდენტთა კონფერენციები, რომელთა თემატიკა ოფთალმოლოგიის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება.

ჩატარდა რამდენიმე პრეზენტაცია კლინიკების ხელმძღვანელების და მოდულზე პასუხისმგებელი პირების დასწრებით. მოხსენებებს აქვთ შეჯიბრის სახე და ფასდება ქულებით. თემის ირგვლივ იმართება დისკუსია. ასეთი ტიპის კონფერენციების ჩატარების შედეგად, მაძიებელს ეძლევა დამოუკიდებლად მუშაობის, ახალი ინფორმაციის მოძიების და მოპოვების საშუალება, რაც მისი პროფესიული ზრდის მისაღწევადაა აუცილებელი.

რეზიდენტების საუკეთესო პრეზენტაციები საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენდა. მათი ნაშრომები იმდენად საინტერესოა, რომ ამ სახის კონფერენციებს ხშირად სხვა კლინიკის ექიმებიც ესწრებიან. ჩვენ ყოველთვის მხარში გვიდგანან ოფთალმოლოგიური ფირმების და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები.

საქველმოქმედო აქცია

თვალის სნეულებათა დეპარტამენტმა ჩაატარა მოსახლეობის ოფთალმოლოგიური გამოკვლევის ერთთვიანი აქცია. გამოკვლეულ იქნა **335** ადამიანი. გამოვლენილი იქნა სხვადასხვა ნოზოლოგიები.

აქციის ფარგლებში გაისინჯა თბილისის სასწრაფო-გადაუდებელი სამსახურის **203**

მძღოლი. აქცია ჩატარდა მეხუთე კურსის სტუდენტებისა და რეზიდენტების დახმარებით. **თბილისის სასწრაფო-გადაუდებელი სამსახურის სამედიცინო მენეჯერმა, პროფესორმა რუსუდან ბერიაშვილმა,** მადლობა გადაუხადა თვალის სნეულებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს, რეზიდენტებსა და სტუდენტებს გაწეული დახმარებისთვის.

თვალის სნეულებათა დეპარტამენტი მადლობას უხდის კომპანია „World Medicine“-ს აქციის ფარგლებში ქველმოქმედების სახით მოსახლეობისთვის საჭირო მედიკამენტების გადაცემისთვის.

კიდევ ერთი კეთილი საქმე

თსსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის, „ACTS-ჯორჯიას“, თბილისის „ლაიონს“ და **„ლეო“ კლუბების ერთობლივი აქცია**

უკვე სამი წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან **„ACTS-ჯორჯიას“ რონალდ ჯეიმსისა და კობა კოპლატაძის** სახელობის დიაბეტიან ბავშვთა ბანაკის აღსაზრდელები.

ბანაკი დიაბეტიან ბავშვთათვის 16 წელია ფუნქციობს. მისი შექმნის იდეა ეკუთვნის **„ACTS International“-ის** პრეზიდენტს, ქალბატონ **ტრიშ ბლეარს,** რომელსაც სურდა საქართველოში დაეარსებინა საზაფხულო ბანაკი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთათვის, რაც აშშ-ში არსებული ბანაკის ანალოგი იქნებოდა. ბატონმა გიორგი წილოსანმა, **„ACTS ჯორჯიას“** პრეზიდენტმა, და მასთან ერთად ორგანიზაციის მთელმა შემადგენლობამ, კეთილშობილური განზრახვით ორი ექიმი, ოთხი მედდა და თორმეტი მოზარდი 1995 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, **„ჰიკორი ჰი“**-ში გააგზავნა. სპეციალური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, 1996 წლის ივნისში, პირველად საქართველოში, დაბა ბაკურიანში გაიხსნა დიაბეტიან ბავშვთა ბანაკი.

პროგრამის კოორდინატორები, ენდოკრინოლოგები, ბატონები **რონალდ ჯეიმსი** და **კობა კოპლატაძე,** ბავშვებს ათი წლის მანძილზე ასწავლიდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესებს. სამწუხაროდ, ეს არაჩვეულებრივი ადამიანები – რონალდ ჯეიმსი და კობა კოპლატაძე – დღეს ჩვენთან აღარ არიან. დიაბეტიან ბავშვთა ბანაკი მათ სახელს ატარებს.

დიაბეტური რეტინოპათია თანდაყოლილი დიაბეტის უხშირესი და უმძიმესი გართულებაა, რაც, შემდგომში ხშირად, სიბრმავის მიზეზი ხდება.

მიაჩნიათ, რომ რეტინოპათიის განვითარებისთვის საჭიროა 10-15 წელი, სწორედ ამ ზღვარს გადასცილდა ბანაკის აღსაზრდელთა ასაკი და ამიტომ მათ პროფილაქტიკურ ოფთალმოლოგიურ გასინჯვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

2012 წელს ჩატარებული გასინჯვის შედეგად გამოვლინდა რეტინოპათიით დაავადების 5 შემთხვევა და პროფესორმა მერაბ დვალმა ერთ შემთხვევაში ლაზერული ოპერაცია ჩაატარა, დანარჩენები რჩებიან სისტემატური დაკვირვების ქვეშ.

წლევანდელი პროფილაქტიკური გასინჯვის ორგანიზებისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ **„ACTS ჯორჯიას“ პრეზიდენტს,** ბატონ **გურამ ამირიძეს,** ასევე, თბილისის **„ლაიონს“, „ლეო“** კლუბებს და კომპანია „World Medicine“-ს, რომელთაც მედიკამენტებით მოამარაგეს გამოკვლეული პაციენტები.

საქველმოქმედო აქციის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის რეზიდენტებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს დიაბეტიან ბავშვთა ბანაკის აღსაზრდელთა გამოკვლევასა და მკურნალობაში.

რეზიდენტთა მიერ მომზადდა საალექციო კურსი დიაბეტური რეტინოპათიის შესახებ, რომელიც ამიერიდან ბანაკის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი გახდება და წაეკითხება მობანაკეებს ზაფხულში, დასვენების დროს.

P.S: საინტერესო საუბრისთვის, ასევე, მადლობას ვუხდით თსსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორ ნინო კარანაძეს. ვუსურვებთ დეპარტმენტს წარმატებებს სამომავლო საქმიანობაში.

მოამზადა
მანანა ფხალაძემ

სტუდენტური გვერდი

ვეროლის რედაქციაში ნალოძე ბუზაშაძვილი

ღრმა პატივისცემით მოგესალმებით, „სამედიცინო გაზეთის" მკითხველებო!

პირველ ხიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გაზეთის ხედაქციას, ხათა საშუალება მოგვცა მკითხველისთვის მიგვენოდებინა ინფორმაცია სტუდენტური აქტივობების, სამედიცინო სიახლეებისა და სტუდენტთა შემოქმედების შესახებ. ამ ნომერში მკითხველს მინდა გავაცნო სტუდენტებში პოპულარული პოეტის შემოქმედება, ასევე სხვადასხვა საინტერესო სამედიცინო სიახლე, ვფიქრობ, სტუდენტურ გვერდში განთავსებული ინფორმაცია იქნება საინტერესო ყოველ სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. იმედი მაქვს, სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან გვერდის მომზადებაში და მოვალ საინტერესო სტატიას, ლექსს თუ ჩანახატს მოგვანვდიან.

კონფერენცია

ძუძუს კიბოს პრევენციისთვის

ძუძუს კიბო აქტუალური თემაა და მთელ მსოფლიოში ქალთა ავთვისებიან სიმსივნეთა შორის ყველაზე ხშირია, ამიტომ ეს თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საზოგადოების მხრიდან დღეს ამ საკითხისადმი დიდი დაინტერესებაა.

შემუშავებულია სპეციალური პროგრამები ძუძუს კიბოს პრევენციისთვის – საქართველოს ეროვნულ სკრინინგ-ცენტრში 40-70 წლამდე ასაკის ქალები ამ მიმართულებით იტარებენ სკრინინგს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დარბაზში, სტუდენტებმა ჩაატარეს კონფერენცია თემაზე – **„გადაარჩინე ქალების სიცოცხლე, შეაჩერე ძუძუს კიბო"...**

კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება დაეთმო ძუძუს კიბოს თანამედროვე მკურნალობას, მორფოლოგიურ დიაგნოსტიკას, დიაბეტსა და კანცერს, ძუძუს კიბოს სკრინინგს და მორფოლოგიურ ასპექტებს.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ძუძუს და ენდოკრინული ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი **გიორგი ძაგნიძე**, თსსუ-ის პათოლოგიური ანატომიის პროფესორი **ომარ ხარძეიშვილი**, დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორი, საქართველოს დიაბეტისა და ენდოკრინულ ასოციაციათა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი **რამაზ ყურაშვილი**, ეროვნული სკრინინგ-ცენტრის წარმომადგენელი **ლევან ჯუღელი**, ეროვნული სკრინინგ-ცენტრის რადიოლოგიური სამსახურის კოორდინატორი, რადიოლოგი **თამარ ჩარკვიანი.**

კონფერენციით, ასევე, დაინტერესდნენ: „შავი ზღვის ქვეყნების კოალიცია – საშვილოსნოს ყელის და ძუძუს კიბოს პრევენციაში" და

„საქართველოს ძუძუს კიბოსთან ბრძოლის კოალიცია", რომელთა წარმომადგენლებმა **მაკა მაღლაკელიძემ** და **ნინო სეხნიაშვილმა** ისაუბრეს ორგანიზაციების საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ.

კონფერენციის მიზანი – ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისა და საზოგადოებისთვის ამ მძიმე დაავადებასთან ბრძოლის და პრევენციის შესახებ – გამართლდა.

კონფერენციის ორგანიზატორი, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, თამარ თაქთაქიშვილი, მადლობას უხდის თსსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას გაწეული დახმარებისათვის.

სტუდენტები პოეზიაში

ოთო ნადარაია მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტია. ექიმის რთულ და მეტად საპასუხისმგებლო პროფესიას შეჭიდებული, კალამსაც ცდის პოეზიაში და საკმაოდ შთამბეჭდავადაც. მისი ლექსები პირველად იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ცოტათი სევდა შეპპარვია სულში ავტორს, თუმცა არც უიმედობაა... ჩვენ არ დავიწყებთ მისი ლექსების განხილვას, მხოლოდ ვიტყვით – სასიამოვნოდ იკითხება, ბევრგან ორიგინალური მიგნებაა...

იმედია, ოთო ოპტიმისტურ ლექსებსაც შემოგვთავაზებს...

ჩარჩოდან იღიმება მონალიზა,
შექსპირს დაუწუნეს სონეტები.
დაღალა ქადაგებამ მორალისა,
როგორც უსახლკარო პოეტები.

ქუჩები დანაცრულან ოქროსფერით.
ზღვაზე მოოფრთხიალდა მაგნოლია,
ისმის ჩაიკოვსკის ოქტომბერი,
როგორც სასიკვდილო ჰარმონია

მოაჯირს ჩაეხუტა აივნისას,
ალბათ თავის მოკვლას აპირებსო.
ათასი სილუეტი გაირინდა,
საწყალს, ცოდვები თუ ატირებსო.

ხეები სინანულით ჩამომხმარან,
როგორც ესმერალდას დარაჯები,
ბებერი ბელზებერიც წამომხტარა
და მკვდარს დასტრიალებს სამართებლით.

იწოდა იმ ხანებში დედამიწა,
სისხლმა ვულკანებად ამოხეთქა.
ქვებიც აატირა ცრემლმა მისმა,
ბოლოს აღარავის ვადმოხედა

თვალები ზეცისაკენ აპერობილი,
გლოვას ცრემლიანნი უხდებიან.
ვული ორ ნახევრად გაპობილი...
ვანა ანგელოზნიც თუ კვდებიან?

შეწეიტა ღვთაებრივმა გულისმგერა,
მტრედად გადმოფრინდა აივნიდან,
ჩაქრა ანთებული სულის კერა
თვალნიც უმოძრაოდ გაირინდა.

ჩარჩოდან იღიმება მონალიზა,
ბნელი ჩამოვარდა წამიერი.
კუბოს მოუძღვება მოცარტისას
მხოლოდ შავოსანი სალიერი.

ბედნიერების საიდუმლო...

ბედნიერება ემოციური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანი, არსებული პირობებიდან გამომდინარე, შინაგან კმაყოფილებას გრძნობს. ბედნიერი ადამიანის ცხოვრება შინაარსიანია და მას აქვს კონკრეტული მიზნები. თანამედროვე ფსიქოლოგთა მიერ ამ მდგომარეობის აღმწერი დეფინიცია სწორედ ასეთია. დღევანდელ ბიოლოგიას და მის სხვადასხვა დარგს ადამიანის ყველანაირი ფიზიკური თუ ემოციური მდგომარეობა გამოკვლეული აქვს.. შესაბამისად, ჩვენს ბედნიერებასაც გამოენახა თავისი ფიზიოლოგიური მექანიზმი. მისი როლი, როგორც „ბედნიერების ჰორმონის", უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია. დადებითი ემოციების: სიცილის, სიხარულის, სიყვარულის, მადლიერების გრძნობის შედეგად წარმოიქმნება ენდორფინები. სწორედ ეს გახლავთ ბედნიერების ჰორმონები, რომლებიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და იწვევს ადამიანში კარგ გუნება-განწყობას, ბედნიერების შეგრძნებას.

იმისთვის, რომ ორგანიზმში ენდორფინების გამოთავისუფლება გამოვიწვიოთ და თავი ბედნიერად ვიგრძნოთ, სულაც არ არის საჭირო რაიმე ექსტრემალური ქმედების ჩადენა ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება. არსებობს უამრავი ბუნებრივი და უსაფრთხო მეთოდი, რომელიც ენდორფინების გადმოსროლას უწყობს ხელს. ახლახან ჩატარებულ ცდებზე დაყრდნობით, ტექსასელი ფიზიოლოგები გვირჩევენ წიწაკა ჩილის გამოყენებას. გაიჩერეთ წიწაკა ენაზე ცოტა ხნით და თქვენ არა მარტო თავს იგრძნობთ უკეთ, არამედ ტკივილისგანაც გათავისუფლდებით. მეორე მეთოდი – დადებითად აზროვნება. ამისთვის საჭიროა, საკუთარი აზრების კონტროლი და უარყოფითი მოსაზრების გაჩენისთანავე მისი დადებითით შეცვლა. სპორტი ხელს უწყობს ენდორფინების გადმოსროლას სისხლში, ეს განსაკუთრებით სირბილს, ცურვას, ჩოგბურთს, ანუ სპორტის იმ სახეობებს ეხება, ხანგრძლივი დროით ვარჯიშს რომ მოითხოვს. შოკოლადის ზომიერად მიღება, ასევე, იწვევს განწყობის ამაღლებას, თუმცა არ ღირს მისი ჭარბად მიღება. ეს არასასურველია, როგორც ჯანმრთელობისთვის, ასევე, ვიზუალური სრულყოფილებისთვის. ულტრაიისფერი სხივებიც უზრუნველყოფს ენდორფინების გამოყოფის სტიმულირებას, თუმცა, საჭიროა ზომიერების დაცვა. როგორც მეცნიერთა არაერთმა გამოკვლევამ დაამტკიცა, მუსიკას შეუძლია ბევრი სერიოზული დაავადება განკურნოს. ის ამაღლებს განწყობას, გვმატებს ენერგიას ან პირიქით, გვამშვიდებს. მუსიკალურ ნაწარმოებს შეუძლია, სისხლში ენდორფინების დონის მომატება.

P.S: ოპტიმისტური განწყობილების შედეგად უფრო მარტივია კონფლიქტების დარეგულირება, წყენისა და სიძულვილის თავიდან აცილება, სიკეთის, მადლიერების და მიტევების გრძნობის აღზრდა;

•თუ ცხოვრების მიმართ ოპტიმისტურად ხარ განწყობილი;

•თუ მზის ყოველი ამოსვლით ტკბები;

•თუ იმის რწმენით და იმედით იძინებ, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება;

•თუ გჯერა საკუთარი თავის, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევ, ე.ი. შენ ოპტიმისტი ხარ.

გილოცავ, შენ უკვე ბედნიერი ხარ! ბედნიერების შეგრძნება ხომ, უბრალოდ, ოპტიმისტური განწყობის შედეგია!

ია ჩიკვილაძე,
ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტი

ქართველი სტუდენტები ევროპულ პროექტში

პირველად საქართველოში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, განხორციელდა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული პროექტი – **„ტყუპები"** (Twinning Project). ამ პროგრამაში „EMSA-tbilisi" პარტნიორი ჰოლანდიის ერთ-ერთი ფაკულტეტის წევრი ორგანიზაცია – „EMSA-nijmegen"გახლავთ.

„Twinning Project" ბილატერალური პროგრამაა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი ქვეყნის 10-15 სტუდენტისგან შექმნილი ჯგუფი და მიზნად ისახავს სტუდენტების პირად კონტაქტს, ინფორმაციების გაცვლას. მისი საშუალებით ყალიბდება მჭიდრო, მეგობრული ურთიერთკავშირი მეზობელ ევროპულ ქვეყნებს შორის. მონაწილეობის მსურველ მრავალ სტუდენტს შორის ჰოლანდიის მხარემ 11 მათგანი შეარჩია. პროექტის პირველ ნაწილს ქალაქმა ნაიმეგენმა უმასპინძლა. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა „EMSA-tbilisi" ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი **ანა ჩეკურიშვილი**. პროგრამა ითვალისწინებდა, როგორც სასწავლო, ასევე, სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებს.

უცხოელ სტუმრებს საქართველოში 5 მაისს ელოდებიან. „EMSA-tbilisi" კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ქვეყანასთან და მომავალშიც გვპირდება მსგავს პროექტებს.

აუტიზმი განკურნებადია?..

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევრებმა აღმოაჩინეს **აუტიზმის სამკურნალო პრეპარატი.** ამჟამად მიმდინარეობს დასკვნითი კვლევები, რომლის დასრულების შემდეგ ექიმები კაცობრიობას წარუდგენენ ახალ, უნიკალურ წამალს. მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ შეძლებს აუტიზმის ყველა ფორმის მკურნალობას და მხოლოდ X ქრომოსომაზე არსებული გენის მუტაციით გამოწვეული აუტიზმის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ახალ კვლევას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აუტიზმი არის დაავადება, რომელიც არ აძლევს ადამიანს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებას და იწვევს მარტოობის შეგრძნებას. დაავადება საკმაოდ ადრეულ ასაკში ყალიბდება. როგორც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ნევროლოგმა, მარკ ბეარმა, განაცხადა, მეცნიერები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ შეძლებენ მკურნალობის მეთოდის სრულყოფას და დაეხმარებიან ბავშვებს აუტიზმის ყველა ფორმისგან განკურნებაში. ყოველი 150 ბავშვიდან 1 დაავადებულია აუტიზმით და ეს ციფრი სულ უფრო მატულობს. დაავადების გამომწვევი ზუსტი მიზეზი უცნობია. თუმცა ცნობილია ის, რომ ეს დაკავშირებულია გენთა სიმრავლესთან, განსაკუთრებით, მუტანტურ გენებთან. მეცნიერების აზრით, მუტაციას მივყავართ გონებრივი პრობლემების გაჩენამდე, ვინაიდან, ის იწვევს ტვინში არსებული ცილის, მეტაბოტროპული გლუტამატური რეცეპტორ-5-ის (mGluR5) ჰიპერაქტივობას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესწავლასა და დამახსოვრებაში. მკვლევრებმა გამოიყენეს გენური ინჟინერიისა და შერჩევითი გამრავლების კომბინაცია, რათა შეექმნათ თაგვების ხაზი, რომლებსაც ექნებოდათ მუტაცია X ქრომოსომაში, ხოლო ცხოველების ტვინში დაბალი დონით იყო წარმოდგენილი mGluR5. ასეთ თაგვებში ახალი პრეპარატის გამოყენებამ წარმატებული შედეგი მოიტანა. ახლო მომავალში იგეგმება პრეპარატის კვლევა ადამიანებში. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შედეგი აქაც დადებითი იქნება.

მინდა აღვნიშნო, რომ 2 აპრილს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე აღინიშნა.

მსოფლიოში ყოველ 20 წუთში ერთ ადამიანს უდგინდება და 100-დან 1 ადამიანს აქვს აუტიზმი. 2007 წლის 18 დეკემბერს მიღებული A/RES/62/139 რეზოლუციით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღედ გამოაცხადა, რასაც ერთხმად შეუერთდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის, საქართველო. 2012 წლის 2 აპრილს **საქართველოს აუტიზმის საზოგადოებამ** მეორედ აღნიშნა ეს დღე, რომელსაც შეუერთდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა. 30 მარტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის სხდომათა დარბაზში, გაიმართა კონფერენცია **„აუტიზმი საქართველოში"**. მასში მონაწილეობდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები **მაკო კაპანაძე** და **გიორგი მუხიგულაშვილი**, მოწვეულები იყვნენ ფსიქოლოგი **რუსუდან მხეიძე** და აუტიზმის საზოგადოების წარმომადგენელი, ნევროლოგი **მედეა ზირაქაშვილი,** რომელმაც წარმოადგინა საკუთარი დოკუმენტური მასალა – „აუტიზმის სიმპტომები", ხოლო 2 აპრილს, აუტიზმის საერთაშორისო დღეს, ფილარმონიიდან თავისუფლების მოედნამდე მოეწყო საინფორმაციო მსვლელობა. პარალელურად, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, დარიგდა ბუკლეტები სახელწოდებით – **„რა არის აუტიზმი?"**.

ივაწ-მოსილი იუბილარი

ჩემპიონობიდან – ჩემპიონობამდე

ვაჟა გვანცელაძე – 80

ასე დაიწყო პროფესორ ვაჟა გვანცელაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო შეხვედრა სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო დარბაზში, რომელიც მისი კოლეგებით, მოწაფეებით, ვეტერანი კალათბურთელებით, ოჯახის წევრებით, ახლობლებით იყო სავსე.

შეხვედრაზე პირველი მისალოცი სიტყვა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ** წარმოთქვა: "ბატონი ვაჟა ჩვენი უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-აკადემიკოსი, სპორტის ცნობილი ოსტატია კალათბურთში. იგი წარმატებული მეცნიერ-მკვლევარი და პედაგოგია, ერთ-ერთი იმათგანია, რომელთა ლექციებზე, შემოვლებზე, პრაქტიკუმებზე ვყალიბდებოდით არა მარტო ექიმებად, არამედ ვსწავლობდით ბევრ აუცილებელ და საჭიროს ჩვენ სპეციალობაში.

ბატონი ვაჟას წარმატებული საექიმო მოღვაწეობა და სპორტული მიღწევები საამაყოა სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, მისი ოჯახისთვის. ამიტომაც პატივისცემით ვულოცავთ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს."

სიტყვის დასრულების შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, იუბილარს განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისთვის საპატიო სიგელი, მისალოცი ადრესი და ახლახან გამოცემული, ვახტანგ მეექვსის რედაქციით დასტამბული "ვეფხისტყაოსანი" გადასცა.

ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა **გელა სულაბერიძემ** ისაუბრა ვაჟა გვანცელაძეზე _ ექიმზე, მკვლევარზე, პედაგოგზე.

იუბილარის მეგობრებმა, პროფესორებმა: **რომანოზ სვანიშვილმა, ვაჟა ჟღენტმა, დემურ ბაშილეიშვილმა, ზურაბ კაციტაძემ, ალექსანდრე ქისტაურმა, გურამ ბექაიამ, ლამარა ვაშაკიძემ, ასმათ შუკაკიძემ** არაერთი თბილი მოგონება და ფრაგმენტი გააცოცხლეს სიკეთით სავსე იუბილარის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, აღინიშნა, რომ ვაჟა გვანცელაძე არის ადამიანი, რომელსაც გულნატკენი კაცი არ ჰყავს ამ წუთისოფელში. ეს, მართლად განვლილი ცხოვრების გზა, მის შვილებში და შვილიშვილებში გრძელდება.

ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** ბატონი ვაჟას მიერ მოპოვებულ სპორტულ მიღწევებზე ისაუბრა კალათბურთში და აღნიშნა მისი დიდი წვლილის შესახებ იმჟამინდელი თბილისის "დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წარმატებებში.

სიტყვით გამოსულმა ღვაწლმოსილმა იუბილარმა მადლობა მოახსენა სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მისი ამაგის დაფასებისთვის და მოკრძალებით აღნიშნა: " _ თუ ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამომართმევთ, მოღვაწეობა მედიცინაშიც და სპორტშიც ჩემპიონობით დავიწყე და ჩემპიონობით დავასრულე, რასაც დიდი შრომის, დროის სწორად განაწილების და ნებისყოფის შედეგად მივაღწიე."

ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის რექტორმა, პროფესორმა **დემურ ბაშილეიშვილმა** იუბილარი აკადემიის საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

ამაღლებულად წარიმართა საზეიმო ბანკეტი, სადაც ბატონი ვაჟა გვანცელაძის შვილთაშვილების ოთოს, რატის, ქეთევანის მხიარულება ისმოდა დასაჭრელად გამზადებული, შაქარლამიანი ფიგურებით დახუნძლული ტორტის გარშემო. აფერადებული, იუბილარივით დიდი ტორტი გაიჭრა და ვაჟა გვანცელაძე მეუღლესთან ერთად ოჯახის წევრების წრეში მოექცა. ცეკვავდა და მღეროდა ყველა... და ამ ერთად ყოფნის სიხარულს არაფერი შეედრებოდა.

ჩვენც სიხარულით ვულოცავთ ღირსეულ პიროვნებას, ცნობილ ექიმს და სპორტსმენს, დიდსულოვან ადამიანს, პროფესორ ვაჟა გვანცელაძეს საიუბილეო თარიღს, ხანგრძლივ და ნაყოფიერ ცხოვრებას ვუსურვებთ!

მანანა ფხალაძე

(მე-5 გვერდიდან)

სტუდენტური გვერდი

აქტიური ცხოვრების წესი დაბერების წინააღმდეგ

მეცნიერებმა ტყუპებზე დაკვირვებით დაადგინეს, რომ ისინი, ვინც თავისუფალ დროს ფიზიკურ აქტივობას უთმობდნენ, გამოიყურებოდნენ ბიოლოგიურად უფრო ახალგაზრდულად, ვიდრე მათი ნაკლებად აქტიური ტყუპისცალები. მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ არააქტიურ პირებში დნმ-ის შემადგენელი ტელომერები ასაკთან ერთად უფრო სწრაფად მოკლდებოდნენ. ცნობილია, რომ აქტიური ცხოვრების სტილი უკავშირდება კარდიოვასკულარული დაავადებების, მეორე ტიპის დიაბეტისა და სიმსივნის განვითარების უფრო დაბალ რისკს. უკანასკნელმა გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ არააქტიურობით ადამიანს ემუქრება არა მარტო დაავადებების განვითარების საშიშროება, არამედ მან შეიძლება დააჩქაროს დაბერების პროცესიც. ლონდონის სამეფო კოლეჯის მკვლევართა ჯგუფი სწავლობდა 1401 თეთრკანიან წყვილს, რომლებიც ავსებდნენ სპეციალურ კითხვარს ფიზიკური აქტივობის შესახებ და იტარებდნენ სისხლის სინჯს დნმ-ზე. მეცნიერების ფოკუსირება ხდებოდა ტელომერებზე, რომლებიც განლაგებულია ქრომოსომების ბოლოში მათი დაზიანებისგან დაცვის მიზნით. ასაკთან ერთად ტელომერები მოკლდება, უჯრედები უფრო ადვილად ზიანდება და იღუპება. ლეიკოციტების მაგალითზე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველწლიურად ტელომერები კარგავენ 21 კომპონენტს – ნუკლეოტიდს. იმ ადამიანებში, რომლებიც ფიზიკურად ნაკლებად აქტიურები არიან, ტელომერების სიგრძე უფრო მოკლეა, ვიდრე ფიზიკურად მეტად აქტიურებში. ტელომერების საშუალო სიგრძე იმ პირებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ მინიმალური ფიზიკური აქტივობა – 16 წუთი კვირის მანძილზე, იყო 200 ნუკლეოტიდით ნაკლები იმ პირებთან შედარებით, რომელთა ფიზიკური აქტივობა კვირის მანძილზე 199 წუთს შეადგენდა (სირბილი, ჩოგბურთი, აერობიკა). ყველაზე აქტიურ ადამიანებში ტელომერების სიგრძე უტოლდებოდა ათი წლით უფრო ახალგაზრდა არააქტიური ადამიანის ტელომერების სიგრძეს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტელომერების სიგრძეზე ზეგავლენას ახდენს სტრესიც, ხოლო ადამიანები, რომლებიც რეგულარულად დაკავებული არიან ფიზიკური ვარჯიშით, უფრო ადვილად სძლევენ სტრესს.

საკუთარი ხედვით

სამაგისტრო ხარისხი – კურსდამამთავრებლებს

20-დან 30 მარტამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე სადიპლომო ნაშრომების დაცვა მიმდინარეობდა.

მიმდინარე წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, ასევე, ჯანდაცვის სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე, 27-მა მაგისტრმა დაიცვა სადიპლომო ნაშრომი და მიიღო შესაბამისი სამაგისტრო ხარისხი.

კურსდამამთავრებლებმა კვლევები წარმოადგინეს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის არაერთი საკითხის შესახებ, მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საკუთარი ხედვა და შესთავაზეს აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის გზები.

მაგისტრების სადიპლომო ნამუშევრებში ასახული იყო მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის პრობლემები, მაგალითად, **ნ. ცისკარიშვილის** სადიპლომო ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო და აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და სოციალური დაცვის სამართლებრივ ასპექტებზე; ჯანდაცვის სისტემის განვითარებისა და ფინანსურ რეგულირებაზე საინტერესო კვლევა წარმოადგინეს **თ. ადანაიამ, ა. ქვლივიძემ** და სხვებმა.

შემაჯამებელ დღეს – 30 მარტს სადიპლომო ნამუშევართა დაცვას ესწრებოდნენ: თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **დ. ჭავჭანიძე,** ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი **ი. კვაჭაძე**, დოქტორანტურის და მაგისტრატურის სამსახურის უფროსი, პროფესორი **ნ. ვეფხვაძე,** საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ბ. ზურაშვილი** და სხვები.

დიპლომების დაცვის შემდეგ, ფოიერვერკების ფონზე, გაიჭრა საზეიმო ტორტი – პროფესორ-მასწავლებლებმა გზა დაულოცეს თავიანთ აღზრდილებს, უსურვეს წარმატებები და მზაობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების საქმეში.

დარეჯან კოპლაძე

ახალი წიგნები

რუბრიკას უძღვება პროფესორი ვალიმ სააკაძე

ქეთევან გოგბერაშვილი, ყარამან ფალავა

დედის მზრუნველობის დეფიციტის გავლენა ბავშვის განვითარებაზე, მის ქცევასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თბილისი, 2011 წ. 120 გვ.



მონოგრაფიაში წარმოდგენილია ფსიქიკური დეპრივაციის განმარტება. მოყვანილია ლიტერატურის მონაცემები და საკუთარი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გარემო ფაქტორების როლის შესახებ ფსიქიკური დეპრივაციის განვითარებაში. მოყვანილია ბავშვებში ფსიქიკური დეპრივაციის შესწავლის ისტორიული მიმოხილვა. კლინიკური დაკვირვებებისა და ნატიფი ბიოქიმიური გამოკვლევების საფუძველზე ნაჩვენებია ემოციური სტრესის ჯანმრთელობაზე გავლენის თავისებურებები ადრეული ასაკის ბავშვებში. ახსნილია ემოციური სტრესის ნეიროენდოკრინული მექანიზმები. დადგენილია ემოციურ სტრესსა და იმუნურ სისტემას შორის კავშირები: გამოკვეთილია დეპრივაციით გამოწვეული სტრესის მარკერები ბავშვებში (ნორეპინეფრინის მაღალი, ხოლო დოფამინის და სეროტონინის დაბალი კონცენტრაცია), ქცევის დარღვევების ხასიათი და მექანიზმები. ნაჩვენებია, რომ დედის დეპრივაცია განაპირობებს ფიზიკური და ფსიქოემოციური განვითარების ჩამორჩენას, შფოთვის მაღალ დონეს, მაღალ ავადობას. დამაჯერებლადაა წარმოდგენილი დეინსტიტუციონალიზაციის დადებითი ეფექტები.

სარწმუნოდაა დასაბუთებული, რომ დედასა და ბავშვს შორის მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელი პირობაა ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის, მისი ჯანმრთელობისა და ნორმალური ფორმირებისთვის. დედის ფაქტორი შვილისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ადრეულ ასაკში, არამედ იგი განსაზღვრავს მის ნორმალურ პიროვნულ განვითარებას და ქცევას შემდგომ ასაკობრივ პერიოდებშიც.

მონოგრაფია განკუთვნილია პედიატრებისთვის, ოჯახის ექიმებისთვის, ფიზიოლოგებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, პედაგოგებისთვის და სოციალური მუშაკებისთვის.

ოთო ნადარაია

***

მთელი სამყაროს გვირგვინი, არსი,
უსენაესი ქმნილება ღმერთის.
და შემოქმედის ხატება, მსგავსი.
ყველა თვისება მომმადლე შექმნილს.

სული შთამბერე, სატანას ესმა,
ედემის ბაღში დამიდე ბინა.
მე უმადური მივენდე ეშმაკს,
ხატი უფლისა მან შემაცდინა.

მე აკრძალული ვჭამე ნაყოფი,
ცოდვა შენს ეკას ვადავაბრალე.
შენ შემიქმენი ბედის ვამეოფი
ვავადნიერდი და დავბრალე.

მე მოსაკლავად ჩემს მმას ვავწირავ,
შურისძიების ხმას ღმერთს მივაწვდენ.
ბოროტმა კიდევ ერთხელ დამცინა,
მერეც მრავალჯერ დამცა მიწაზე.

ისევ მოხვედი, მიწოდე, მთხოვე,
რომ კიდობანში ჩავმჯდარიყავი.
არ დავიჯერე, დავცინე ნოეს,
მევონა ცსურდა დავმფრთხალიყავი.

მერე ვაშენე ცოდვის სადგური,
სოდომ-ვომორა, არ ვიგდე ეური.
ხორციელ ენების ვავხდი მსახური,
და წავიბილწე სხეულიც, სულიც.

რამდენი შენი კაცი დავხოცე,
დავცინე, ვცემე, ვაგინე, ვქილე.
სასხვნებელი შენი აღვხოცე,
უარგყავი და ეშმაკს ვემონე.

შენ კი ჩემდამი სიყვარულისგან,
მე ვამოგსავნე მხოლოდშობილი.
ვული დამძიმდეს სინანულისგან
იქნებ, მე ვიო ბოლო ცოდვილი.

და უმადური, უღები სული
შეურაცხყოფას მისას ვბედავდი.
თუმცა კი მქონდა თვალიც და ყურნიც,
არც რა მესმოდა და ვერ ვხედავდი.

ოცდაათ ვერცხლად ვავიდე ისე-
ჟნერწყვე, ვაეშოლტე, ვაყამთრახე.
სულში შემიძერა სატანა მეისე,
მკვლელი ბარაბას ვირჩიე სახე.

მერე ჯვარს ვაცვი, არც ეს ვაკმარე,
ღვთაებრივ სხეულს ვატაკე შუბი.
მკვდარსაც არ ვენდე, ვბეჭდე სამარე,
ვერ დავინახე დიდება უფლის.

მე არც აღმდგარი ქრისტე ვიწამე,
ყველა ამიმდვარს დავუწყე დევნა,
და ისრაელის ღვთიურ მიწაზე
ახალშობილთა ვავმართე რბევა.

როდესაც ყველამ იწამა ივი,
ადამიანებს თავვსა ვურიე.
ცხოვრების რწმენის ჩავტეხე ხიდი,
სისხლში ნაღველი ვადავურიე.

მე არცერთ მცნებას არ ვასრულებდი,
და არ ვიყავი რწმენაში წრფელი.
ღვთისმსახურებას აღვასრულებდი,
სხვის დასანახად დამერქვა მრეველი.

მხოლოდ იმიტომ ვიცავდი მარხვას,
მორწმუნეო, _ ვიდაცას ეთქვა.
სხვაში ვემებდი მტკუანს და მართალს
ფარისეველი, მლოცველი მერქვა.

სხვის თვალში დირეს ვემებდი თითქოს,
ღვთის სამსჯავროთი ვიმუქრებოდი.
სხვებს ვასწავლიდი რწმენას და თვითონ,
ცოდვის წუმჰეში ვიღუჰებოდი.

და ღმერთო, მე ვარ ის დაცემული,
ოქროს მოყვარე, მეძავი, მრუში,
მრავალჯერ ხატზე ვადაცემული,
ქურდი, ბოროტი, მკვლელი, ჰირქუში.

მაგრამ მოველი შენგან სამართალს.
მხოლოდ ღვთიური მსჯავრი მწყურია.
რაც ვერასოდეს ვერვინ წამართვა _
მხოლოდ შენდამი სიყვარულია.

უწყი, უფალო, წყალობა შენი
ყველა სიყვარულს აღემატება,
ამდენ სიბილწეს ითმენ და ელი,
ვულს რწმენა როდის დამებადება.

მოხეტიალე, უმღები შვილის
კვლავ დაბრუნება ისურვე შენთან.
ხატად და მსგავსად შენგანვე ქმნილი,
ცოდვილი სული წარვმსდგარვარ
ღმერთთან.

შენ კი მსახურებს უბრძანე მეისვე:
ეს იეო ჩემი რწმენის ვუშავი.
ღვთიურ წიაღში მიმიღე ისევ
მეათერთმეტე ჟამის მუშაკი...

მეცნიერის სიახლეები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, კიბოთი ყოველწლიურად ადამიანთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ავადდება.

დღეს მთელ მსოფლიოში ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება _ იხსნება ადრეული დიაგნოსტიკის ცენტრები, იქმნება ლაბორატორიები, სადაც უახლესი ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა ხდება.

გასულ წელს ამ მიმართებით მსოფლიოში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული.

მეცნიერები დამაიმედებლად ირწმუნებიან, რომ უახლოესი მომავლისთვის ეს უმძიმესი დაავადება განკურნებადი გახდება.

სისხლის გამოკვლევა კიბოს დასადგენად

ისრაელელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ტესტი, რომლის საშუალებით, კიბოს პირველი კლინიკური სიმპტომების გამოვლენამდე, შესაძლებელია პერიფერიულ სისხლში დაავადების სახეობის განსაზღვრა.

ამ მეთოდით განხორციელებული ადრეული დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანწილად შეამცირებს ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობას.

ბენ-გურიონის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ შემუშავებული მეთოდი იძლევა კიბოს უჯრედების აღმოჩენის შესაძლებლობას სისხლის მცირე, ერთი ჩაის კოვზის ოდენობით გამოკვლევისას.

ტექნოლოგიის ძირითად საფუძველს ინფრაწითელი გამოსხივება წარმოადგენს _ ადამიანის ორგანიზმში, სადაც კიბოს განვითარება ახალი დაწყებულია, მოლეკულათა უმრავლესობა სისხლდენის ნაკადში გადადის, შედეგად, სისხლის მიერ შუქის შთანთქმა ავადმყოფური პროცესისგან განსხვავებული სახით ვლინდება.

ახალი ტესტის სიზუსტე 90%-ია. კლინიკური კვლევების ჩატარება იგეგმება უახლოესი მომავლისთვის.

Middailly.ru

ციურიხელ მკვლევართა მიგნება



ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მიაგნეს კიბოს მკურნალობის ახლებურ მიდგომას – ავადმყოფის სისხლში შეჰყავთ სისხლიდან გასაძევებელი მოლეკულების იდენტური გამასუფთავებელი ნანოგრამები.

მაგნიტები დაფარულია სისხლში არსებული რკინის დაჟანგვისგან დამცველი გარსით. უერთდებიან რა სამიზნე მოლეკულებს, ნანომაგნიტები სისხლიდან განიდევნებიან სპეციალური მაგნიტური სეპარატორის მეშვეობით. ამგვარი სეპარატორი შეიძლება სისხლის დიალიზის აპარატის გადაკეთების გზით დამზადდეს.

მეთოდის მეშვეობით, შესაბამისი პრეპარატების გამოყენებისას, სისხლიდან შესაძლებელია განიდევნოს როგორც ტოქსინების და მიკროორგანიზმების უმრავლესობა, ისე ავთვისებიანი უჯრედებიც.

ახალი შექცევა

საინფორმაციო სააგენტო The Daily Telegraph-მა გაავრცელა ინფორმაცია პრეპარატ იმუცინის შესახებ, რომელიც, პრაქტიკულად, ორგანიზმს იმ ცილების ამოცნობას შეასწავლის, რომელიც კიბოს უჯრედების ზედაპირზეა განთავსებული.

აღნიშნულია, რომ კვლევებში მონაწილე ავადმყოფთა ნაწილი განიკურნა, ნაწილს კი კიბოს საწინააღმდეგო იმუნიტეტი გაუძლიერდა.

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ იმუცინი საშუალო ზომის სიმსივნეთა განკურნებას ეხმარება. განსაკუთრებული ეფექტურობა ძუძუს და პროსტატის კიბოს შემთხვევაში გამოვლინდა.

პრეპარატი ეფექტურია, ასევე, მათთვის, ვისაც თერაპიის კურსი განვლილი აქვს.

მწვანე ჩაის საიდუმლოება

სიმსივნის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩინურ პოპულაციაზე, რომლის მიხედვითაც, თრგუნავს რა სიმსივნური უჯრედების ზრდას, მწვანე ჩაის სისტემატური მიღება 60 %-ით ამცირებს საყლაპავი მილის კიბოს განვითარების რისკს.

ჩატარებული კვლევების თანახმად, ასევე, მტკიცდება, რომ მწვანე ჩაის სმა ამცირებს სისხლში ტოტალური ქოლესტეროლის დონეს და დადებითად მოქმედებს „კარგი“ (HDL) და „ცუდი“ (LDL) ქოლესტეროლის ფარდობაზე.

კვლევებმა დაადასტურა მწვანე ჩაის, როგორც ანტისიმსივნური თვისება, ასევე, საკმაოდ დადებითი შედეგები იქნა მიღებული მისი გამოყენების შედეგად გულსისხლძარღვთა და ინფექციური დაავადებების, რევმატოიდული ართრიტის შემთხვევებში.

მწვანე ჩაის საიდუმლოება მის ძლიერ ანტიოქსიდანტურ მოქმედებაშია. მასში შემავალი ანტიოქსიდანტური ნივთიერება – EGCG, გარდა იმისა, რომ აინჰიბირებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, მომაკვდინებლადაც მოქმედებს მათზე, ისე, რომ ზიანს არ აყენებს ჯანსაღ ქსოვილებს, ასევე, ეფექტურად ამცირებს LDL ქოლესტეროლის დონეს სისხლში და აფერხებს თრომბის ფორმირებას.

ვერცხლი ონკოლოგიურ ავადმყოფობათა სამკურნალოდ



სამედიცინო მიზნებისთვის ვერცხლი, როგორც ანტიმიკრობული და შემახორცებელი საშუალება, უკვე გამოიყენება. ამჟამად **ბრიტანელი მეცნიერები** ირწმუნებიან, რომ ვერცხლის ნაერთები შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული კიბოს უჯრედების წინააღმდეგაც.



მეცნიერებმა მოახდინეს ვერცხლით და ცისპლატინით მოქმედების შედარებითი ეფექტი, რადგან ეს უკანასკნელი ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამკურნალოდ უკვე გამოიყენება, თუმცა იწვევს არასასურველ თანამოვლენებს – გულისრევის, ღებინების და თირკმლის დაზიანების სახით, ხოლო ვერცხლს, რომელიც ყოფითი მოხმარების საგნებშიც გამოიყენება (მაგალითად, აეროზოლებში), მკვლევართა აზრით, ცისპლატინთან შედარებით, თანამოვლენები არ გააჩნია და, შესაძლებელია, შეფასდეს, როგორც უსაფრთხო და იაფი ალტერნატივა.

ლიდსის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების თანახმად, ვერცხლის ზემოქმედების შედეგად, ძუძუს და მსხვილი ნაწლავის კიბოს უჯრედები, უკვე ექვსი დღის შემდეგ ნადგურდება.

ჟურნალ „Dalton Transaction“-ში გამოქვეყნებული შედეგების მიხედვით, ვერცხლის ნაერთები, ისეთივე ეფექტურობით ხასიათდება, როგორც ცისპლატინი, იმ განსხვავებით, რომ ვერცხლი კიბოს უჯრედებს თანამოვლენების გარეშე ანადგურებს.

ამჟამად იგეგმება კიბოს უჯრედებზე ვერცხლის ნაერთების მოქმედების უფრო ღრმა კვლევა მისი ონკოპათოლოგიური მოქმედების მექანიზმის დაზუსტებისა და პერსპექტივაში ონკოპაციენტთა სამკურნალოდ გამოყენების მიზნით.



სიმსივნეს მცენარეებიც ებრძვიან



მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მცენარე პაპაიას ფოთლების ექსტრაქტი და ჩაი უნიკალური საშუალებაა ონკოლოგიური დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად, მეტიც, იგი ეფექტურია სიმსივნეების ფართო სპექტრის მიმართ.

ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერმა ნამ დენმა და მისმა იაპონელმა კოლეგებმა ჟურნალ **Ethnopharmacology** -ში გამოქვეყნებულ სტატიაში დოკუმენტურად დაადასტურეს პაპაიას სიმსივნისსაწინააღმდეგო მოქმედება, სახელდობრ, რომ ამ მცენარის ფოთლები ეფექტური საშუალებაა საშვილოსნოს ყელის, ძუძუს, ღვიძლის, ფილტვის და კუჭქვეშა ჯირკვლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
დარეჯან კომლაძემ.

ნიკო გომელაურის გახსენება

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

ადამიანი, ვის ხსოვნასაც მიეძღვნა ახლახან თსსუ-ის წითელ დარბაზში გამართული ღონისძიება, არა მხოლოდ ნიჭიერი პოეტი და მსახიობი გახლდათ, არამედ თვითმყოფადი შემოქმედების და გამორჩეული ღირსებების წყალობით უმოკლეს დროში ყველასთვის საყვარელ და ახლობელ ადამიანად იქცა. ამიტომაც ჩვენი ტრადიციული რუბრიკა – **„პოეტის გახსენება“** – უბრალოდ ასე – **„ნიკო გომელაურის გახსენებით“** – შეევცვალეთ.

როგორც უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცეპრეზიდენტმა, **მიხეილ დიაკონიძემ,** ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ეს სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გამართული უკვე მეორე ღონისძიებაა, რომელიც **ნიკო გომელაურის** ხსოვნას მიეძღვნა და სტუდენტებში ისევ და ისევ არ ნელდება ინტერესი მისი შემოქმედებისადმი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ნიკო გომელაურის მეგობრები, კოლეგები, ახლობელი ადამიანები. გავესაუბრეთ პოეტის მეუღლეს, ქ-ნ **ნინა გომელაურ-ჩოდრიშვილს,** რომელმაც აღნიშნა: „13 აპრილს 2 წელი ხდება ნიკოს გარდაცვალებიდან და მე იმდენად ხშირად მიწევს ასეთ საღამოებზე სიარული, რომ აღარ ვტირი ძველებურად, პირიქით – სიხარულის განცდა პრივალირებს. ვიცი, ბევრი ადამიანი ისე მიდის ამქვეყნიდან, არაფერ ღირებულს ტოვებს და, რა თქმა უნდა, მიხარია, როცა ვხედავ რამხელა სითბო და სიყვარული დატოვა. მისასალმებელია, რომ კომპიუტერის და უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში ახალგაზრდები კვლავ ორიენტირებულები არიან სულის საკვებზე, პოეზიაზე, ზოგადად – წიგნზე; ვხედავ, როგორი ანთებულები კითხულობენ ისინი ლექსებს, რამდენად დიდია მათი მოწადინება ეზიარონ ღირებულს, მნიშვნელოვანს და თუ ამ ლექსებში ისინი პოულობენ ამ ყველაფერს, მაშინ ნიკო ბედნიერია, და მეც მასთან ერთად...“

თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წაკითხულმა ლექსებმა, ნიკო გომელაურის ცხოვრების და შემოქმედების ამსახველმა ვიდეოკოლაჟმა, ბუნებრივია, სევდიანი განწყობა შექმნა, რაც ოდნავ გაახალისა თავისუფალი თატრის მსახიობების: **კახა მიქიაშვილის** და **ივანე ქურასბედიანის** მოგონებებმა კოლეგასა და მეგობარზე, კიდევ უფრო სხვა კუთხით რომ დაგვანახეს შემოქმედი.

ჩვენ ამჯერად მიზნად არ დაგვისახავს ნიკო გომელაურის შემოქმედების მხატვრულ ავკარგიანობაზე საუბარი, ამაზე ჩვენზე კომპეტენტური ადამიანები იმსჯელებენ და, რაც მთავარია, დრო სათანადოდ შეაფასებს, თუმცა მასზე ფიქრმა ჩვენი თანამედროვე პოეტის სტრიქონი გაგვახსენა: **„მიყვარს! – აი, პაროლი სამოთხეში შესასვლელად!“.** თუკი “სამოთხეში მოხვედრის” ამ არცთუ უცნაურ და მოულოდნელ პოეტურ გააზრებას გავიზიარებთ, მაშინ ნიკო გომელაურის შიში თუ ერთგვარი სიფრთხილე, რაც მეუღლისადმი მიძღვნილი სტროფითაც გამოიხატა **(„მე ჯოჯოხეთში როდესაც მოვხვდე, შენ სამოთხეში უნდა ჩამიწყო“),** სრულიად უსაფუძვლოა, რადგან მისი ცხოვრების და შემოქმედების საძირკველი თუ მთავარი ხიბლი სწორედ სიყვარულია, სიყვარული არა მხოლოდ მისთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანების, არამედ, ზოგადად, – მოყვასის, ადამიანის, სამშობლოს მიმართ; სულიერმა ტკივილმა, განსაცდელმა და ადამიანების უმადურობამ ვერ გამოხრა მისი სული, ვერ ჩაკლა მასში სიკეთის საწყისი **(„მეზიზღებოდა ზოგჯერ მოყვასი, მაგრამ ღალატი არ მინდებოდა“...),** სწორედ სულიერი და ფიზიკური ტკივილების დათმენის გზით მან უდრტვინველად ზიდა საკუთარი ჯვარი, კვლავ სიყვარულით გაუსწორა თვალი მომავალს და თვალშეუდგამი იმედით და რწმენით ნასაზრდოები პოეზია დაგვიტოვა. გასაკვირიც არაა, რომ ამ უკიდეგანო სიყვარულის წილ მან ასეთივე სიყვარული დაიმსახურა – გადაჭედილი დარბაზი და პუბლიკის ემოციები ცხადყოფდა, რამდენად გაუნელებელია მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და დანაკლისი, ინტერესი კი მისი შემოქმედებისადმი კიდევ უფრო იზრდება: ადამიანებს არ ბეზრდებათ ისევ და ისევ მიუბრუნდნენ მის ლექსებს, რადგან როგორც ამ საღამოზე ახალგაზრდა პოეტმა, **ბიჭი ივანიშვილმა,** აღნიშნა, მისი პოეზია ეხმიანება ყველა ადამიანის გულისთქმას, ამიტომაც ამ ლექსების მოსმენა ყოველთვის ემოციურია. და რაც არ უნდა ხმამაღალ ნათქვამად მოეჩვენოს ვინმეს, ვფიქრობთ, ყველა ჭეშმარიტი პოეტის მსგავსად, იგი ილიას სულის ნატეხი იყო „გათითოკაცებულ“ საქართველოში, ამიტომაც არ კარგავს აქტუალობას, მუდმივად აფხიზლებს საზოგადოებას და, შესაბამისად, აგრძელებს არსებობას.

ეჭვიც არ გვეპარება, რომ დრო კიდევ უფრო მეტი შარავანდედით შემოსავს ნიკო გომელაურის სახელს, თაობები გაიზრდებიან მის ლექსებზე და საუკუნეებს გაამხნევებს იდუმალი სითბოთი მისი გულწრფელი, გამორჩეული და მართალი სიტყვა.

ნატო ბოლქვაძე

ინტერვიუ

ჩვენი მეგობარი ბატონი ჯონდო

დღეს, **„სამედიცინო გაზეთის“** შემოქმედებითი კოლექტივი, უკვე წარსულში, ვიგონებთ ადამიანს, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებული იყო ჩვენს გაზეთთან. თუმცა იგი, ამავდროულად, აქტიურ და თვალსაჩინო როლს ასრულებდა მაშინდელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საზოგადოებრივ და პედაგოგიურ საქმიანობაში. კათედრას, სადაც იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, სკკპ ისტორიის კათედრა ერქვა. უყვარდათ სტუდენტებს, თანამშრომლებს ხალასი იუმორისა და კომუნიკაბელობის გამო. ისტორიას ვერ წავშლით... მაშინ კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტია და ფლაგმანი იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ბატონი ჯონდო გაფრინდაშვილიც, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უერთგულესი წევრი იყო ამ პარტიისა, ამიტომაც იგი რამდენიმე წელი სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი გახლდათ. იგი იყო ყველგან: პარტიულ კომიტეტში, კათედრაზე, „მედიცინის მუშაკის“ (მაშინ ასე ერქვა ჩვენს გაზეთს) რედაქციაში, ლექციაზე... დაუზარელი, ენერგიული, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული...

1980 წელს, როცა გაზეთმა ჩვენი სახით ახალი შევსება მიიღო კორესპონდენტებისა, ბატონი ჯონდო რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო. მართალია, ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების კურსდამთავრებულები და პროფესიონალები ვიყავით, მაგრამ ბატონი ჯონდოსგან ბევრს ვსწავლობდით გაზეთის საქმიანობასთან დაკავშირებით.

მაშინ გაზეთი 4 გვერდიანი იყო და კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ეს პრობლემას არ გვიქმნიდა, რადგან ბატონი ჯონდო იქვე, ორიოდე წუთში, შექმნიდა სტატიას და გაზეთიც მზად იყო... დამკაბადონებლის ფუნქციაც უკისრია, საბეჭდ მანქანასთანაც მჯდარა... ექსპრომტად გვიწერდა ლექსებს თითოეულ კორესპონდენტს, სადაც დეტალურად აღწერდა ჩვენს ხასიათს, ქცევის მანერებს...

90-იან წლებში კომუნისტური პარტია და სკკპ ისტორიის კათედრა წარსულს ჩაბარდა... კათედრას საქართველოს ისტორიის კათედრა ეწოდა. ბატონმა ჯონდომ ჩვეული შემართებით გააგრძელა ამ კათედრაზე მუშაობა, მაგრამ მისთვის მაინც გაზეთი იყო სტიმულის მიმცემი და სიცოცხლის გამახალისებელი.

1992 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. აქ გატარებულმა სასწავლო რეფორმებმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გაერთიანება გამოიწვია და უმთავრესი ყურადღება დაეთმო სამედიცინო დარგთან დაკავშირებულ კათედრებს... ბატონი ჯონდო პენსიაზე გავიდა... ეს დაეტყო თავად, დაგვეტყო ჩვენც... იგი ნამდვილად გვაკლდა, თუმცა ჩვენთან კავშირი არ გაუწყვეტია, გვესაუბრებოდა ტელეფონით, გვიგზავნიდა საგაზეთო სტატიებს...

განსაკუთრებით მის ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა სათაყვანებელი მეუღლის გარდაცვალებამ, რის შემდეგაც იგი მოწყდა ყველაფერს...

წუთისოფლიდან განშორებამდე ცოტა ხნით ადრე, სიყვარულის და პატივისცემის დასტურად, რედაქციას საჩუქრად გამოგვიგზავნა წიგნი – **„თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია“** – წარწერით: „ამ მოკრძალებულ ნაშრომს, რომელშიც გადმოცემულია 200 წლის ისტორია სკოლისა, სადაც დაირწა ჩემი შრომითი საქმიანობის აკვანი, მოსაგონრად გიძღვნით თქვენ, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციას, რომელთანაც თითქმის 30-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს. ჩემი მოღვაწეობა, ძირითადი საქმიანობის პარალელურად, უკავშირდებოდა „სამედიცინო გაზეთს“ და თქვენთან ტკბილად მოსაგონარ ურთიერთობას... იმ ნეტარი წლების გამხსენებელი, გაზეთის ამჟამინდელ თანამშრომელთა დიდად პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი, თქვენი ჯონდო გაფრინდაშვილი“...

და ახლახან, აპრილში, დიდმარხვის დღეებში, ბატონი ჯონდო მარადიულ სასუფეველში გადასახლდა... ძალიან დაგვწყვიტა გული... ჩვენი წილი ცრემლი გავაყოლეთ, ჩვენ კი ტკბილი მოგონება დავიტოვეთ ამ საოცრად მეგობრული ადამიანისა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია

მოსაგონარი

ზნეკეთილი, უმწიკვლო...

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო–ბიოლოგიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ვეკუა 2012 წლის 7 მარტს, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჩვენგან წავიდა მშვიდი, მაღალი კულტურის მქონე, ზნეკეთილი, უპრეტენზიო, ფუტკარივით მშრომელი, კეთილმოსურნე, საოცრად არაკონფლიქტური ადამიანი, რომლის ამქვეყნად ყოფნა სიცოცხლეს გვიადვილებდა მის კოლეგებს, მოწაფეებს და სიკვდილს გაგვიადვილებს მარადიულ სასუფეველში.

ბატონი გიორგი 32 წელი (1962-1994) ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრას, ხოლო 1994 წლიდან 2006 წლამდე იყო საზოგადოებათმეცნიერებების კათედრის პროფესორი. თსსუ–ში 44 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მისგან არავის ახსოვს ელემენტარული წყენა, ხმამაღალი სიტყვა, რაიმე სახის შენიშვნა, მაგრამ მის მიმართ ყველანი განსაკუთრებულ რიდსა და მოკრძალებას ვგრძნობდით. მის გარშემო ყოველთვის სიმშვიდე და სტაბილურობის განცდა სუფევდა. იგი ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა დიდ, სერიოზულ და კეთილ საქმეებს.

ისტორიულად და პოლიტიკურად ურთულეს პირობებში, იდეოლოგიური კატაკლიზმებით სავსე ეპოქაში ბატონმა გიორგიმ საოცარი ინტუიცია გამოიჩინა და თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მიზნად მედიცინის ფოლოსოფიური პრობლემების კვლევა დაისახა. ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ქვეყნების ფილოსოფიურ წრეებში დიდი გამოხმაურება ჰქონდა მის ნაშრომებს, რომლებიც მიეძღვნა მიზეზობრიობის პრობლემების კვლევას მედიცინასა და ფილოსოფიაში(1977).

პროფესორი გიორგი ვეკუა შედიოდა გამოჩენილ ფილოსოფოსთა იმ სამეულში, რომლებმაც ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერების ფილოსოფიის (განსაკუთრებით ეთიკის) კვლევას დაუდეს საფუძველი. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში მედიცინის ფილოსოფიური საკითხების კვლევის სკოლის ფუძემდებლად. მისმა ნაშრომებმა – „მედიცინის ფილოსოფიური პრობლემები“ (1972) და „მედიცინის ფილოსოფია“(1997) – საეტაპო როლი შეასრულა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მედიცინის ეთიკური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით. 1992 წელს, მან პირველმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, „საქართველოს სამედიცინო მოამბეში“ გამოაქვეყნა სტატია ბიოეთიკის, როგორც მეცნიერების ახალი დარგის საგნის, ამოცანებისა და მიზნების შესახებ. სწორედ ამ სტატიით დაიწყო ბიოეთიკის, როგორც მეცნიერების ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების, განვითარება. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ბიოეთიკის დარგში პირველად ამიერკავკასიაში. ბიოეთიკის კათედრები ამ დროს მხოლოდ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში იყო. 2000 წელს ბატონი გიორგის თანაავტორობით (ბ. მამულაშვილი და დ. გეგეშიძე) გამოიცა სახელმძღვანელო „ბიოეთიკა“, რომელიც, ასევე, მესამე ორგინალური სახელმძღვანელო იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში.

პროფესორი გიორგი ვეკუა კარგი მეცნიერი და ორგანიზატორი გახლდათ, მაგრამ მისი უმთავრესი ხიბლი მაინც პიროვნული თვისებები იყო. გამოჩენილ ფილოსოფოსთა აზრით, მთელი ჩენი ცხოვრება სიკვდილთან შესახვედრად მზადებაა. არც ბატონი გიორგი იყო გამონაკლისი. 87 წლის ასაკშიც კი, იგი ნათელი, ბრძენი და მაძიებელი გონების იყო. შესაშური მოთმინებითა და ოპტიმიზმით ემზადებოდა სიკვდილთან შესახვედრად. მისი გარდაცვალებაც მისი ცხოვრების წესის შესაფერი იყო. სულ რამდენიმე დღე იავადმყოფა, არავინ შეუწუხებია, მშვიდად და უდრტვინველად შეუდგა მარადიული სასუფევლისკენ მიმავალ უკანასკნელ გზას.

ბატონი გიორგი და მისი უსათნოესი მეუღლე, ქალბატონი ლეილა, ვერ დაიმარხნენ მშობლიური გალის სოფელ ბარღების წინაპართა სასაფლაოზე საყვარელი მშობლების და ახლობლების გვერდით, მაგრამ მათი უკვდავი სული მოინახულებს და მოეფერება მონატრებულ და სიზმრადქცეულ საყვარელ აფხაზეთს.

ბატონი გიორგის დაკრძალვაზე მყოფი ყველა ადამიანი აუცილებლად დაფიქრდებოდა ადამიანის სიცოცხლის აზრსა და სიკვდილის გარდუვალობაზე. ტერენტი გრანელი წერდა: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“. ეს „სხვა“ არის სწორედ სულიერ-გონითი სამყარო, რომლის გულისგულს და ბირთვს ზნეობა წარმოადგენს.

ჩვეულებრივ, ადამიანები ვერ ხედავენ კავშირს სიკვდილსა და ზნეობას შორის. ისინი, ნივთებით მოხიბლულნი და მოჯადოებულნი, საგულდაგულოდ ცდილობენ ზნეობის ხმის ჩახშობას და სიკვდილის დავიწყებას.

ფილოსოფიის ერთ-ერთი დანიშნულება ისიც არის, რომ საქმეში ჩაძირულ და ცხოვრებით გართულ ადამიანს რომის ერთი იმპერატორივით ხშირად შეახსენოს სიკვდილი: „momento mori!“ სიკვდილის არსში წვდომის განცდამ, იქნებ, იგი ზნეობრივად უფრო სრულყოფილი გახადოს.

საკაცობრიო კულტურის მთელი გამოცდილება გვკარნახობს, რომ კაცთა მოდგმის ყელაზე დიდი ქმნილება ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანია. ცივილიზაციას იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც იგი ადამიანის ზნეობრივი სრულქმნის ამ დიდ მიზანს ემსახურება. ადამიანი ზნეობრივი არსება კი არ არის, ზნეობრივ არსებად ყოფნის შესაძლებლობაა. მას კიდევ არ უქცევია სინამდვილედ ეს შესაძლებლობა. სულიერება და ზნეობა მუდმივი ამოცანაა და არა უკვე მოცემული რამ. ადამიანმა მთელი თავისი არსებით და ზნეობრივი ცხოვრების წესით უნდა დაადასტუროს ამ შესაძლებლობის ნამდვილობა, რაც, ამასთანავე, სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა გასვლასა და სულიერ-გონით სამყაროში დამკვიდრების მომასწავებელი იქნება.

ბატონმა გიორგიმ მთელი თავისი არსებით და ზნეობრივი ცხოვრების წესით დაადასტურა ამ შესაძლებლობის ნამდვილობა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული!

გელა მამულაშვილი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ბიოეთიკისა და მედიცინის
ისტორიის დეპარტამენტი